16 - 22 თებერვალი 2017
ფასი 1 ლარი 70 თეთრი

ახალი განათლება

№5 (759) გამოდის 1998 წლიდან
www.axaliganatleba.ge

პრაქტიკოსი მასწავლებლის კარიერული წინსვლის გზა

რა ალტერნატიულ გზებს სთავაზობს სახეცვლილი სქემა პრაქტიკოს მასწავლებლებს კარიერული წინსვლისთვის, როგორ გაიზარდა დამატებითი აქტივობების წილი, როგორ მოხდება კრედიტქულების დაგროვება და დამატებით რა შესაძლებლობები გაჩნდა მათთვის – ამის შესახებ გვესაუბრება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის უწყვეტი პროფესიული განათლებისა და კარიერული წინსვლის პროგრამის ხელმძღვანელი ირინა სამსონია

საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციის დადასტურებისას კრედიტქულების მინიჭება

საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დასადასტურებელი ტესტის მაქსიმალური ქულის %	კრედიტქულა
61 - ს ზემოთ	10
51-დან 61-მდე	7
41-დან 51-მდე	4
31-დან 41-მდე	1

გვერდი 2

თავისუფალი გაკვეთილები – მეტი შესაძლებლობა ფიზკულტურის მასწავლებლებისთვის

გვერდი 10

პედაგოგთა დასახმარებლად

გამრავლება-გაყოფის ცნებები

დაწყებითი საფეხური

გვერდი 4

საუბრები ლიტერატურაზე

...და კვლავ ფიქრები დავით გურამიშვილზე

გვერდი 7

პედაგოგთა დასახმარებლად

უფლებაუნარიანობა, ქმედუნარიანობა, ემანსიპაცია

სამოქალაქო განათლება

გვერდი 8

წიგნის თარო

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

პროფესიული უნარები

დამხმარე სახელმძღვანელო გაკეთებულია უკვე საგნის მასწავლებლისთვის



პროფესიული უნარების სახელმძღვანელო

დაგეხმარებათ დამოუკიდებლად მოემზადოთ პედაგოგიური უნარების გამოცდისთვის. მასალა წარმოდგენილია კითხვა-პასუხის სახით, მდიდარია კონკრეტული მაგალითებით და შეიცავს ცოდნის შესამოწმებელ ტესტებს პასუხებით.

თემატიკა: გაკვეთილის დაგეგმვა, სწავლების მეთოდები, კლასის მართვა, შეფასება, რესურსები, კათედრაზე მუშაობის ფორმები, გამჭოლი კომპეტენციები, მოტივაცია, ინკლუზიური საკლასო გარემო და ისგ, კომუნიკაცია, სასკოლო კონფლიქტები, გაკვეთილის ტიპები, საგანმანათლებლო რესურსის ტიპები და მისი შექმნის ეტაპები, სწავლის და განვითარების თეორიები და ა.შ.

ფასი – 15 ლარი *მიმდინარეობს ხელმოწერა*

 პროფესიული განვითარება

პრაქტიკოსი მასწავლებლის კარიერული წინსვლის გზა

მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, შეიცვალა პრაქტიკოსი მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის გზები. სქემა აღარ მოიცავს კარიერის შეწყვეტისა და შეჩერების ნაწილს და მასწავლებლებს ალტერნატიულ გზებს სთავაზობს წინსვლისთვის. ყველაზე მნიშვნელოვან ცვლილებად პრაქტიკოსი მასწავლებლები განსაზღვრული ვადების გაუქმებას მიიჩნევენ, სამაგიეროდ, მათ, პროფესიულ უნარებში მოუწევთ კომპეტენციების დადასტურება ტესტირების გზით (გამოცდას ახლა ტესტირება ჰქვია).

რა ალტერნატიულ გზებს სთავაზობს სახეცვლილი სქემა პრაქტიკოს მასწავლებლებს კარიერული წინსვლისთვის, როგორ გაიზარდა დამატებითი აქტივობების წილი, როგორ მოხდება კრედიტქულების დაგროვება და დამატებით რა შესაძლებლობები გაჩნდა მათთვის – ამის შესახებ გვესაუბრება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის უწყვეტი პროფესიული განათლებისა და კარიერული წინსვლის პროგრამის ხელმძღვანელი ირინა სამსონია

– რა ცვლილებები შეეხო პრაქტიკოს მასწავლებელს?

– სქემაში განხორციელებული ცვლილებები, რა თქმა უნდა, საკმაოდ მნიშვნელოვნად შეეხო პრაქტიკოს მასწავლებელს. მთავარი ცვლილება ის არის, რომ პრაქტიკოსს, უფროსი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად, აღარ აქვს განსაზღვრული ვადები; მეორე მნიშვნელოვანი ცვლილება – მას რამდენიმე გზა აქვს კარიერული წინსვლისთვის, ანუ სახელმწიფო ალტერნატიულ გზებს სთავაზობს; მესამე ცვლილება – წინა სქემისგან განსხვავებით, პრაქტიკოს მასწავლებელს საშუალება მიეცა, დამატებითი აქტივობებით მოაგროვოს კრედიტქულები. ეს არის სამი ძირითადი ცვლილება, რომელიც პრაქტიკოსი მასწავლებლის საფეხურს შეეხო.

– აღვწეროთ ეს გზები

– მოგეხსენებათ, რომ სქემის წინა ვერსიაში აღწერილი გზა, რომლის მიხედვითაც პრაქტიკოს მასწავლებელს უნდა გაევლო შიდა საგაკვეთილო დაკვირვება, ოთხი წლის განმავლობაში, ორჯერ (+ საპილოტე წელი, საერთო ჯამში, ხუთი წლის განმავლობაში), უნდა დაედასტურებინა საგნობრივი კომპეტენცია გამოცდის სახით, ხოლო პროფესიული – 5-კრედიტიანის სახით (იმის მიხედვით, რომელიც არ ჰქონდა დადასტურებული). ახლა მას მეტი არჩევანი აქვს. კრედიტქულების დაგროვება სავალდებულო აქტივობების საშუალებით, რა თქმა უნდა, ერთ-ერთ გზად რჩება. ამ შემთხვევაში, მან უნდა გაიაროს შიდა საგაკვეთილო დაკვირვება ორჯერ და ამ გზით 4 კრედიტი დააგროვოს. საგნობირივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურებისთვის კი მას დასჭირდება, ჯამში, 15 კრედიტქულის მოგროვება. იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელი, საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დასადასტურებლად ტესტირების გავლის შედეგად ამ 15 კრედიტქულას ვერ მოაგროვებს, საჭირო კრედიტქულებს სხვა აქტივობებით ივსებს. უფრო ზუსტად რომ ვთქვა, 19 სავალდებულო კრედიტიდან 15-ს, რაც საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურებისთვის არის განკუთვნილი, მასწავლებელს შეუძლია დააგროვოს როგორც მხოლოდ ტესტირების, ისე კომბინირებულად – შესაბამისი მიმართულებიდან სხვადასხვა აქტივობების განხორციელების გზით. ამისთვის პრაქტიკოს მასწავლებელს ჩვენ დამატებითი აქტივობების ჩამონათვალს ვთავაზობთ. იდეა ისაა, რომ მთავარია, მასწავლებელმა დაადასტუროს თავისი კომპეტენცია, ანუ დაადასტუროს, რომ კარგად იცის საგანი, რომელსაც ასწავლის და აქვს ზოგადი პროფესიული უნარები იმისათვის, რომ წარმართოს სასწავლო პროცესი და გადასცეს მოსწავლეებს ეს ცოდნა. ეს, პრინციპში, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მოთხოვნაა და სწორედ ამ ორ მსხვილ მიმართულებადაა დაყოფილი აქტივობები, რომლებიც პრაქტიკოს მასწავლებელს შევთავაზეთ. მას შეუძლია აირჩიოს მისთვის მოსახერხებელი და იოლად შესასრულებელი აქტივობები, რომლებითაც ის შეივსებს დანაკლის კრედიტქულებს.

პრაქტიკოს მასწავლებელს, უფროსი მასწავლებლის საფეხურზე რომ გადავიდეს, მისთვის განკუთვნილი კარიერული წინსვლის სამი გზიდან სასურველის არჩევის შესაძლებლობა მიეცა. თუმცა, უცვლელი დარჩა პირობა 19 კრედიტქულის დაგროვების აუცილებლობის შესახებ.

– პირველი გზა: შიდა საგაკვეთილო დაკვირვება – 4 კრედიტქულა, საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურება – 0-დან 15 კრედიტქულა.

– თუ პრაქტიკოს მასწავლებელს ჩაბარებული აქვს რომელიმე გამოცდა, ანუ დადასტურებული აქვს საგნის ან პროფესიული უნარების კომპეტენცია, მას აღარ მოუწევს გამოცდის თავიდან ჩაბარება, კომპეტენციას, ორივე მიმართულებით, ის მხოლოდ ერთხელ ადასტურებს. თუ არც ერთი არ აქვს დადასტურებული, მაშინ ორივე უნდა დაადასტუროს. ტესტირების გზით დაგროვილი კრედიტქულების მიხედვით ის თავად გეგმავს, შემდეგ რა აქტივობების შესრულება მოუწევს კრედიტების შესავსებად.

თუ მასწავლებელმა გამოცდაზე ნული ქულა მიიღო, თავიდან მოუწევს გამოცდაზე გასვლა, რადგან, როგორც გითხარით, ტესტირების გზით კომპეტენციის დადასტურება აუცილებელია.

აქვე გეტყვით, როგორ ხდება მიღებული ქულების გადაყვანა კრედიტქულებში: თუ მასწავლებელი საგნობრივი ან პროფესიული კომპეტენციიის დადასტურებისას დააგროვებს ქულათა 61%-ს, მას მიენიჭება მაქსიმალური 10 კრედიტქულა, 51-დან 61%-მდე – 7, 41-დან 51%-მდე – 4, ხოლო 31-დან 41%-მდე – 1. ქვედა ზღვარი 30 ქულით განისაზღვრება. ეს იმას ნიშნავს, რომ მასწავლებელი, რომელიც ტესტირების შედეგად დააგროვებს 30-ქულაზე ნაკლებს, ვერ მოიპოვებს კრედიტქულას.

– მეორე გზა: საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურებისას, თითოეულში, 10 კრედიტქულას დააგროვებს.

– თუ მასწავლებელმა საკმარის ქულები დააგროვა საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურების გზით, ანუ ჯამში 15 კრედიტქულა მოიპოვა, მაშინ მას შიდა დაკვირვებას გავლის გარეშე მიენიჭება უფროსი მასწავლებლის სტატუსი. პრაქტიკოსი მასწავლებელი, ორივე მიმართულებით, თავისი კომპეტენციების დასადასტურებლად გადის ტესტირებას, რომელსაც ორგანიზებას შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი გაუწევს. მხოლოდ ამის შემდეგ, იმის მიხედვით, თუ რამდენ ქულას დააგროვებს თითოეული მიმართულებით, მასწავლებელი დაგეგმავს თავის საქმიანობას კარიერული წინსვლისთვის.

– მესამე გზა: დოქტორის ხარისხი ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

– პრაქტიკოს მასწავლებელს, რომელიც, დოქტორის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს მოიპოვებს განათლების მეცნიერებების მიმართულებით ან იმ საგანში, რომელსაც ასწავლის, პირდაპირ ენიჭება უფროსი მასწავლებლის სტატუსი.

კიდევ ერთი გზა მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი საუნივერსიტეტო პროგრამის წარმატებით დასრულებაა. ამ შემთხვევაში, პრაქტიკოსი მასწავლებელი პირდაპირ ხდება უფროსი მასწავლებელი, რადგანაც მიიჩნევა, რომ მას, ამ კურსის გავლის შემდეგ, დადასტურებული აქვს კომპეტენციები ორივე – როგორც საგნობრივი, ისე პროფესიული მიმართულებით.

– რა დამატებითი აქტივობები უნდა განახორციელონ პრაქტიკოსმა მასწავლებლებმა და როგორ განისაზღვრა თითოეული აქტივობის შესაბამისი კრედიტქულა?

– პრაქტიკოსი მასწავლებლის დამატებითი აქტივობები, როგორც უკვე აღვნიშნე, ორ ძირითად მიმართულებადაა დაყოფილი. ესენია საგნობრივი და ზოგადი პროფესიული მიმართულებები. საგნობრივი მიმართულებით მასწავლებელს შეუძლია გაიაროს **საგნისა და საგნობრივი მეთოდიკის ტრენინგების კურსი**. მასწავლებლებს ამ სატრენინგო კურსს შესთავაზებენ როგორც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, ისე პროვაიდერი ორგანიზაციები, რომელთა პროგრამაც, ცხადია, იქნება აკრედიტებული. ტრენინგების წარმატებით გავლის შედეგად მასწავლებელი მოიპოვებს შესაბამის კრედიტქულებს.

გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სასკოლო კულტურის ამაღლებისა და კოლეგების ურთიერთთანამშრომლობის წახალისების მიზნით, ერთ-ერთ დამატებით აქტივობად შემოვიდა **კოლეგებთან სამუშაო შეხვედრების გამართვა**. პრაქტიკოსი მასწავლებელი მოაზრებულია, როგორც ამ სამუშაო შეხვედრების მონაწილე. ამ აქტივობის შეფასების კრიტერიუმები უკვე მომზადებულია და ელოდება დამტკიცებას როგორც ხელმძღვანელი მასწავლებლისთვის (ვინც ორგანიზებას უწევს ამ შეხვედრას), ისე მონაწილეებისთვის. ეს იქნება სტურქტურირებული შეხვედრების ციკლი. თუ პრაქტიკოსი მასწავლებელი სამ ასეთ სამუშაო შეხვედრაში მიიღებს მონაწილეობას და, რა თქმა უნდა, შეასრულებს შესაბამის დავალებებს (გაივლის შეფასებას, დაწერს რეფლექსიას, თუ როგორ დანერგა და სცადა მისი გამოყენება პრაქტიკაში), ამ აქტივობისთვის 0,5 კრედიტქულას მიიღებს.

ერთი ძალიან საინტერესო სიახლეა დამატებით აქტივობებში. ეს არის **კონკურსებისთვის, ოლიმპიადებისთვის, შეჯიბრებისთვის მოსწავლეების მომზადება.** მასწავლებლები გამოთქვამდნენ მოსაზრებას, რომ სქემის ძველი ვერსიის მიხედვით ზოგიერთი საგნის, მაგალითად, სპორტის და მუსიკის მასწავლებლებს არ ჰქონდათ კარიერული წინსვლის იმდენი შესაძლებლობა, რამდენიც სხვა საგნების მასწავლებლებს. ეს აქტივობა კი ყველა საგნის მასწავლებელს თანაბრად აძლევს საკუთარი პროფესიული საქმიანობის გზით კრედიტქულების დაგროვების საშუალებას. მუსიკის მასწავლებლებს შეუძლიათ, მაგალითად, მუსიკალური გუნდის ან ინსტრუმენტული ანსამბლის მომზადება, ასევე ინდივიდუალური მუშაობა მოსწავლეებთან საშემსრულებლო კონკურსებისთვის. სპორტის მასწავლებელსაც შეუძლია საჭადრაკო ტურნირისთვის ერთი მოსწავლის ინდივიდუალურად მომზადება, ან სპორტული გუნდის მომზადება რაიმე შეჯიბრისთვის და ა.შ. ამ ტიპის აქტივობისთვის მასწავლებელი იღებს 0,5 კრედიტქულას. ამ შემთხვევაში თავისი საქმიანობის დასადასტურებლად საჭირო იქნება მოსწავლის ან მოსწავლეთა გუნდის შეჯიბრში, კონკურსში ან ოლიმპიადაში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატი. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მოსწავლეთა მიერ მიღწეული შედეგები გავლენას არ მოახდენს მასწავლებლის შეფასებაზე.

კიდევ ერთი დამატებითი საქმიანობაა **წრეობრივი მუშაობა მოსწავლეებთან**, რაც სახეცვლილი სქემის კიდევ ერთი სიახლეა. მნიშვნელოვანია, რომ დამატებითი საქმიანობების ჩამონათვალს დაემატა ისეთი ტიპის აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს კლასგარეშე საქმიანობას სკოლაში. ეროვნული სასწავლო გეგმა ზოგადად ითვალისიწინებს კლასგარეშე საქმიანობებს, ახლა კი ამ ტიპის საქმიანობა მასწავლებელს კრედიტქულებად უღიარდება. წრეობრივი მუშაობისთვის მასწავლებელი 0,5 კრედიტქულას მოიპოვებს.

დამატებითი აქტივობების ჩამონათვალს დაემატა ასევე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) ეფექტურად გამოყენების კომპონენტი. ვფიქრობთ, 21-ე საუკუნის სკოლაში სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვა წარმოუდგენელია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე. მასწავლებელთა დიდი ნაწილი საკმაოდ წარმატებულადაც ახერხებს ამას. სწორედ ამიტომ, სამართლიანი იქნება, თუ მათ ეს დაუფასდებათ. სასწავლო პროცესში ისტ-ის ეფექტურად გამოყენებისთვის მასწავლებლები 0,5 კრედიტქულას მოიპოვებენ.

რასაკვირველია, ამ და ყველა დანარჩენი აქტივობის შესაფასებლად მასწავლებლის შეფასების ჯგუფს ხელთ ექნება შესაბამისი შეფასების ინსტრუმენტები, რომლებიც უკვე მომზადებულია დასამტკიცებლად.

მოგეხსენებათ, ამ ეტაპზე, პრაქტიკოს მასწავლებლებს კვლავ აქვთ **შეფასების ჯგუფის წევრობის უფლება**, რადგან ბევრ სკოლაში არ არიან საკმარისი რაოდენობით უფროსი ან წამყვანი მასწავლებლები. ამიტომ, საგნობრივ მიმართულე-

პროფესიული განვითარება

ბაში ერთ-ერთ დამატებით აქტივობად აისახა საგნობრივი კათედრიდან არჩეული მასწავლებლის შეფასების ჯგუფის წევრობა, რისთვისაც ის 1 კრედიტქულას მოიპოვებს.

ახლა რაც შეეხება **პროფესიულ მიმართულებას,** აქაც, რა თქმა უნდა, **ტრენინგების წარმატებით გავლა რჩება,** როგორც კრედიტქულების მომტანი აქტივობა.

ასევე ძალიან საინტერესო სიახლეა **საკლუბო მუშაობა**, როგორც კლასგარეშე საქმიანობა. კლუბი შეიძლება ჩამოყალიბდეს სკოლის ბაზაზე, ასევე იყოს რომელიმე არსამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციების პროექტი, რომელშიც სხვა სკოლებიც შეიძლება იყვნენ ჩართული. საკლუბო მუშაობა, მოგეხსენებათ, საკმაოდ ხანგრძლივ, მოცულობით და მრავალგანზომილებიან საქმიანობას გულისხმობს. ამიტომ მასწავლებელს, რომელიც კლუბის კურატორია, წლის განმავლობაში ჩატარებული სამუშაოსთვის 1 კრედიტქულა მიენიჭება.

მასწავლებლის დამატებით საქმიანობებში აისახა **სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობაც**, რაც, დამეთანხმებით, ძალიან მნიშვნელოვანი სიახლეა. ვფიქრობდით, რომ სსსმ მოსწავლეებთან მუშაობა სქემაში უფრო მეტად უნდა ყოფილიყო გამოკვეთილი, რადგან ეს საკმაოდ რთული და საპასუხისმგებლო საქმიანობაა და ნამდვილად იმსახურებს მეტი მნიშვნელობის მინიჭებას. მასწავლებელი, რომელსაც კლასში სსსმ მოსწავლე ან მოსწავლეები ჰყავს, შეფასდება იმის მიხედვით, თუ როგორ იყენებს შესაბამის მეთოდოლოგიას ამ მოსწავლეებთან მუშაობისას, რა ტიპის სამუშაოს ეწევა, რამდენი და რა სპექტრის მოსწავლეები ჰყავს კლასში. სწორედ ამ ყველაფრის გათვალისწინებით შეფასდება მასწავლებელი სკოლის შეფასების ჯგუფის მიერ შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით (მათ შორის არის მშობლის კითხვარიც). ამ ტიპის საქმიანობისთვის მასწავლებელს შეუძლია მოიპოვოს 1 ან 2 კრედიტქულა სასწავლო წლის განმავლობაში.

სქემაში ასევე წახალისებულია **სოციალური პროექტები**. მართლაც მნიშვნელოვანი აქტივობაა, რადგან საკლუბო მუშაობა და სოციალური პროექტები ბევრად უწყობს ხელს მოსწავლეების სოციალიზაციის, მათი სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების და, საბოლოოდ, საზოგადოების ნამდვილ წევრად ჩამოყალიბების პროცესს. სოციალური პროექტების დაგეგმვისა და წარმართვისათვის მასწავლებელი შეფასდება 0,5 კრედიტქულით.

სოციალური პროექტები, ისევე როგორც კლასგარეშე აქტივობების ასახვა დამატებითი აქტივობების ჩამონათვალში, ვფიქრობთ, მართლაც სწორი გადაწყვეტილებაა, რადგან ჩნდება შემეცნებისა და თვითრეალიზების მეტი სივრცე როგორც მასწავლებლებისთვის, ისე მოსწავლეებისთვის. ამასთან ერთად, ეს ყველაფერი მასწავლებლებს კრედიტქულებით დაუფასდებათ.

კიდევ ერთი სიახლეა ის, რომ სახეცვლილი სქემა პრაქტიკოს მასწავლებელს საშუალებას აძლევს, კრედიტქულები მოიპოვოს **ფასილიტატორობისთვისაც**. მოგეხსენებათ, ფასილიტატორის საქმიანობა საკმაოდ შრომატევადი და მოცულობითია. ამიტომ, სქემის ახალი ვერსიის მიხედვით, ამ საქმიანობისთვის განკუთვნილი კრედიტქულები მნიშვნელოვნად გაიზარდა და 3 კრედიტქულით განისაზღვრა სასწავლო წლის განმავლობაში.

როგორც უკვე მოგახსენეთ, ახალი სქემა მიზნად ისახავს, ყველა მასწავლებელს ჰქონდეს პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის თანაბარი შესაძლებლობები, მათ შორის, რა თქმა უნდა, არაქართულენოვანი სკოლებისა თუ სექტორების მასწავლებლებს. აღსანიშნავია, რომ ახალ სქემაში **ერთ-ერთ დამატებით აქტივობად აისახა სახელმწიფო ენის კურსის გავლა**. თუ არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლები გაივლიან სახელმწიფო ენის კურსს და აიღებენ ენის ფლობის დონის სერტიფიკატს, მათ მიენიჭებათ 2 კრედიტქულა თითოეული დონის ფლობისთვის. ყველაფერთან ერთად, ეს ერთგვარი წამახალისებელი აქტივობა იქნება არაქართულენოვანი მასწავლებლებისთვის, ისწავლონ სახელმწიფო ენა.

– დამატებით აქტივობებს სკოლის შეფასების ჯგუფი შეაფასებს, ანუ სკოლის ბაზაზე მოხდება შეფასებები. როგორ ფიქრობთ, რამდენად შეინარჩუნებენ სკოლები ობიექტურობის ხარისხს?

– ეს საკითხი ყოველთვის აქტუალური იყო, წინა სქემის დროსაც და ახლაც. პასუხისმგებლობა, ამ კუთხით, მაშინაც ჰქონდათ სკოლებს და ახლაც დაეკისრებათ. ერთ-ერთი მექანიზმი, ობიექტურობის შესანარჩუნებლად, არის ის, რომ შეფასების ინსტრუმენტები უნდა იყოს ზედმიწევნით ვალიდური და სანდო, მაქსიმალურად იძლეოდეს მასწავლებლის საქმიანობის ობიექტურად შეფასების საშუალებას. მეორე დამცავი მექანიზმია ის, რომ მაქსიმალურად მაღალ დონეზე მოხდეს ამ ადამიანების ინფორმირება და მათთვის ახსნა-განმარტების მიწოდება. ამის მისაღწევად ვაპირებთ ვიდეოპრეზენტაციების ჩაწერას, რომლებშიც დეტალურად იქნება განმარტებული თითოეული აქტივობის შეფასების ინსტრუმენტი, კერძოდ, რა მოიაზრება თითოეული კრიტერიუმის ქვეშ და რას ნიშნავს მისი მაღალ დონეზე ან დაბალ დონეზე შეფასება. როგორც კი დამტკიცდება კრიტერიუმები, ამ ვიდეოების მომზადებას დავიწყებთ. გარდა ამისა, გვექნება საინფორმაციო შეხვედრები შეფასების ჯგუფებთან და ისინი ამ შეხვედრებზეც მიიღებენ დეტალურ ახსნა-განმარტებებს. რა თქმა უნდა, მასწავლებლებს ექნებათ შეფასების ჯგუფის გადაწყვეტილების გასაჩივრების საშუალება.

გარდა ამისა, შეფასების ჯგუფების დაკომპლექტებისა და შეფასების წესი ნაკლებად იძლევა ერთპიროვნული, მკვეთრად არაობიექტური გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას.

– როდის შეიძლება დაიწყონ პრაქტიკოსმა მასწავლებლებმა დამატებითი აქტივობების განხორციელება?

– რეალურად, მათ უკვე შეუძლიათ დაიწყონ მზადება და დაგეგმონ აქტივობები, რადგან სქემა დამტკიცებულია და, შესაბამისად, ეს აქტივობებიც ძალაშია. იმის მიხედვით, თუ რა სახის აქტივობები აქვს დღემდე განხორციელებული, მასწავლებელს შეუძლია პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის შეთავაზებული სამი გზიდან აირჩიოს ერთ-ერთი, მისთვის ყველაზე ხელსაყრელი გზა და შესაბამისად დაგეგმოს თავისი მომავალი საქმიანობა.

ესაუბრა ლალი ჯელაძე

კონკურსი უფროსკლასელთათვის

„ტრადიციული თამაშობები“

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროების, გაზეთის „ახალი განათლება“ და სხვა პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, აცხადებს კონკურსს უფროსკლასელთათვის თემაზე „ტრადიციული თამაშობები ჩემს სოფელში“.

კონკურსის მიზანია:

- გამოავლინოს და დააფიქსიროს უხუცესების მეხსიერებაში დღემდე შემონახული საქართველოს სხვადასხვა კუთხის უძველესი თამაშობები (როგორც ჯგუფური, ისე სამაგიდო);
- გაზარდოს საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზრდების ინტერესი მათი კუთხის არამატერიალური მემკვიდრეობის მიმართ;
- დაეხმაროს ახალგაზრდა თაობას არამატერიალური მემკვიდრეობის ნიმუშების მოძიებისა და ფიქსაციის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში;
- ხელი შეუწყოს ძველი ქართული თამაშობების აღდგენა-პოპულარიზაციას.

კონკურსი მოეწყობა ორ ტურად:

პირველი ტური

გულისხმობს სკოლაში მოსწავლეთა ნამუშევრების პირველად სელექციას, რომელიც სკოლის ადმინისტრაციის მიერ, საკონკურსო პირობების ყველა ნორმის დაცვით, იქნება შერჩეული და გადმოგზავნილი მითითებულ ელმისამართზე aramaterialuri@yahoo.com (იხ. საკონკურსო ნიმუშის წარდგენის ფორმა). საჭიროების შემთხვევაში, სკოლის ხელმძღვანელობამ თავად უნდა გაუწიოს მოსწავლეს ტექნიკური დახმარება.

საინტერესო, იშვიათი თამაშობის წარმდგენნი გადავლენ მეორე ტურში.

მეორე ტური

მეორე ტურში გადასული მოსწავლეები, კონკურსის ორგანიზატორებისა და ექსპერტების შენიშვნების გათვალისწინებით, ჩაასწორებენ ნიმუშებს და ხელახლა გადმოგზავნიან.

ნიმუშის წარდგენის ფორმა

თითოეული ნაშრომი უნდა მოიცავდეს:

1. ვორდის ფაილში დაწერილ საკონკურსო ნამუშევარს;

2. მოსწავლეების მიერ აღწერილი თამაშობის მიხედვით გადაღებულ მაღალი რეზოლუციის ფოტოებს (რაოდენობა შეზღუდული არ არის) და თამაშის/ან მისი ფრაგმენტების/ ამსახველ ვიდეოჩანაწერს. ფოტოები უნდა გადმოიგზავნოს, ვორდის ფაილში შესრულებულ ნაწერთან ერთად, jpg ფორმატში;

3. ელემენტზე მუშაობის ამსახველ ფოტომასალას, გადმოგზავნილს ასევე jpg ფორმატით;

4. შეძლებისდაგვარად, თამაშობის ამსახველ ვიდეოჩანაწერს (შესაძლებელია გადაღებულ იქნეს მობილური ტელეფონით).

სასურველია, **ნიმუში ჩაიწეროს თქვენი რეგიონის (სოფლის, ქალაქის, ქუჩის, უბნის, ოჯახის, და ა.შ.) მკვიდრი მოსახლისაგან.**

სასურველია, **მოძიებული და ჩაწერილი ნიმუში ფართე საზოგადოებისთვის ნაკლებად იყოს ცნობილი.**

სკოლის შიდა შერჩევის შედეგად შერჩეული საუკეთესო ერთი ან რამდენიმე ნიმუში სკოლამ უნდა გადმოაგზავნოს:

- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში ელფოსტაზე aramaterialuri@yahoo.com;
- ან გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქციაში;
- ან მოგვაწოდოს ფოსტით „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ მისამართზე (თბილისი, 0105, თაბუკაშვილის ქ. 5).

ვორდის ფაილი უნდა მოიცავდეს შემდეგ სავალდებულო ჩანაწერებს:

1. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში – ***თამაშის დასახელება;***
2. ავტორი – მოსწავლ/ეებ/ის *სახელი, გვარი;*
3. ხელმძღვანელი პედაგოგი – *სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელ., ელმისამართი);*
4. ქალაქი (რაიონი, სოფელი) და სკოლის სრული დასახელება;
5. სკოლის დირექტორი – *სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელ., ელმისამართი);*
6. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშის სხვა დასახელება *(რამდენიმე დასახელების შემთხვევაში, მიუთითეთ ყველა სათაური და დაურთეთ კომენტარი);*

7. ნიმუშის აღწერა

აღწერისათვის უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

- რას წარმოადგენს თქვენ მიერ შერჩეული თამაში – *მოკლე განმარტება თამაშის შესახებ;*
- სახელწოდება *(აგრეთვე, მიუთითეთ თუ არის ცნობილი თქვენ მიერ აღწერილი ნიმუშის განსხვავებული, სხვა სახელწოდება);*
- ნიმუშის ჩაწერის აღწერილობა – *სად, როდის, რისთვის და ვის მიერ იქნა მოთხრობილი და ჩაწერილი ეს ნიმუში, მიუღია თუ არა მონაწილეობა მთხრობელს აღნიშნულ თამაშში და ვისგან აქვს ნასწავლი თავად ეს თამაში;*
- ტრადიციულად რა დროს, რა შემთხვევაში, რამდენი მონაწილე თამაშობდა მას;
- აღწერეთ გარემოება, როდესაც თამაშობენ ამ კონკრეტულ ნიმუშს;
- *რას უკავშირდებოდა აღნიშნული თამაშობა;*
- *რა ატრიბუტები უკავშირდება/თან ახლავს თამაშის პროცესს (ასეთის არსებობის შემთხვევაში, დააფიქსირეთ ფოტოზე);*
- *სხვა პირობები, რომელიც აუცილებელია აღნიშნული თამაშის დროს;*
- *რა როლი ენიჭება თქვენ მიერ შერჩეულ ნიმუშს საზოგადოების კულტურულ, ან რელიგიურ, ან ყოველდღიურ ცხოვრებაში. დაასაბუთეთ შემოთავაზებული თამაშის მნიშვნელობა (უნიკალობა ან ორიგინალობა) პირადად თქვენთვის (რეგიონისთვის, სოფლისთვის, ოჯახისთვის, სკოლისთვის...), საზოგადოებისთვის.*
- ***აღწერეთ თამაშის პროცესი***

სპეციფიკის გათვალისწინებით, წარმოდგენილ ნაშრომს უნდა ახლდეს შესაბამისი თვალსაჩინო მასალა: ფოტო, ვიდეო (შესაძლებლობის შემთხვევაში), ასევე – ჩანახატი, ჩანახაზი, შაბლონი, სქემა, ესკიზი და სხვა თვალსაჩინო მასალა, საჭიროების მიხედვით.

ნამუშევრებს, სპეციალისტებთან ერთად, განიხილავენ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტები.

გადმოგზავნის ვადაა 2016 წლის 20 მარტი

გვეკონტაქტეთ: სამუშაო დღეებში
599 08 40 03; ან 577 27 80 02
aramaterialuri@yahoo.com
მაკა თაქთაქიშვილი, კოტე ნაცვლიშვილი

გამარჯვებული ნიმუშების მიხედვით შედგება ილუსტრირებული კრებული, რომელიც გამოიცემა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ და საჩუქრად გადაეცემათ ავტორებსა და კონკურსში მონაწილე სკოლებს, ასევე სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს. მოწოდებული ვიდეოფაილების მიხედვით დამონტაჟდება ვიდეორგოლი. ნაშრომები გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი განათლების“ ფურცლებზე, გაშუქდება მედიის საშუალებით.

კონკურსის ყველა მონაწილეს მიენიჭება **„არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგის“** წოდება.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არამატერიალური მემკვიდრეობის განყოფილება

ПЕДАГОГОТА ДАСАХМАРЕБЛАД

ზურაბ ვახანია

მათემატიკა (დაწყებითი საფეხური)

გამრავლება–გაყოფის ცნებები

1. გამრავლების მათემატიკური არსი

გამრავლება – ესაა ტოლ შესაკრებთა ჯამის მნიშვნელობის გამოთვლა, ნამრავლი – ტოლ შესაკრებთა ჯამი. ვთქვათ, გვჭირდება ტოლ შესაკრებთა ჯამის გამოთვლა: 4+4+4+4+4+4+4+4. ამდენი შესაკრების წერა მოუხერხებელია, დიდი დრო სჭირდება, თანაც, შეიძლება შეგვეშალოს. ამიტომ ეს ჯამი ჯობია მოკლედ ჩავწეროთ: 9 • 4, ანუ ცხრა ცალი ოთხი, იგივეა ცხრაჯერ ოთხი.

აქვე განვიხილოთ კიდევ ერთი კერძო მეთოდიკური საკითხიც. ტრადიციულად, ნამრავლის ჩანაწერში ჯერ იწერებოდა შესაკრები, ხოლო შემდეგ – მისი რაოდენობა, მაგალითად: 3+3+3+3+3+3+3 = 3 • 7. ასევე, „**სამოცდათვრამეტი**“ იშლებოდა ასე:

78 = 10 • 7 + 8, ანდა 78 = 20 • 3 + 18.

ასეა სასკოლო არითმეტიკის ყველა კურსში და თავდაპირველად ჩვენც ასე დავიწყეთ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ბავშვები ძალიან ენინააღმდეგებოდნენ ამგვარ ჩანაწერს და წერდნენ პირიქით: 78 = 3 • 20 + 18. ჩვენ დავუკვირდით საკითხის არსს და დავადგინეთ, რომ ბავშვები მართლები ყოფილან [მანანა ფხაკაძე]. მართლაც, როგორც ბუნებრივ ენაში, ისე მათემატიკაშიც ჯერ ითქმის და იწერება რაოდენობა, ხოლო შემდეგ – საგანი, მაგ.: „**სამი ვაშლი**“ ან „**სამი ცალი ვაშლი**“ (და არა „ვაშლი სამი“ ან „ვაშლი სამჯერ“); „**15 მეტრი**“ (და არა „მეტრი 15“); „**სამოცი**“ და „**ხუთი ათასი**“ (და არა „ოცისამი“ ან „ათასიხუთი“); „**ოთხი C**“ (და არა „**C** ოთხი“) და სხვ. მეტრი + მეტრი + მეტრი + მეტრი + მეტრი = 5 მეტრი (და არა „მეტრი ხუთჯერ“);

ზოგადად: X + X +... + X – ესაა ***k***-ჯერ X, და ჩაიწერება ასე: ***k*** • X = ***k*** X, და არა X ***k***!

ასევე, ბუნებრივად ლაგდება სიტყვების რიგი ნამრავლის წაკითხვისას:



– ამგვარად ჩაწერილი რიცხვითი გამოსახულება ზედმიწევნით მისდევს ბუნებრივ სახელწოდებას.

3 · 20 = 20 + 20 + 20 = „სამჯერ ოცი“ = „სამი ცალი ოცი“ =
= „ოცი გამრავლებული სამზე“ = „ოცი აღებული სამჯერ“.

ამრიგად, ტრადიციულ სასკოლო არითმეტიკაში დამკვიდრებული ჩაწერა და დასახელება ნამრავლისა – მცდარია. მცდარია, ერთდროულად, მათემატიკური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისებით.

2. გაყოფის მათემატიკური არსი

გაყოფა – ესაა გამრავლების საპირისპირო მოქმედება. მისი არსია უცნობი თანამამრავლის გამოთვლა ნამრავლისა და მეორე თანამამრავლის მიხედვით. ისევე, როგორც გამოკლებაა შეკრების საპირისპირო მოქმედება. მაგრამ ერთი არსებითი განსხვავება და სირთულეა: გაყოფისას, გამოკლებისგან განსხვავებით, შეიძლება, ზუსტად არ გაიყოს და მოგვრჩეს ნაშთი. თანაც ეს საკითხი გაყოფის სწავლების დასაწყისშივე უნდა გაირკვეს, რადგან ზოგადი შემთხვევაა ნაშთიანი გაყოფა და მისი კერძო სახეობაა უნაშთო გაყოფა. თუკი მოსწავლეს გაყოფის პირველი სწავლისას დაუმკვიდრდა მხოლოდ უნაშთო მაგალითები, მას ექმნება მცდარი შეხედულება, რომ გაყოფა, ისევე როგორც გამოკლება, ყოველთვის ზუსტად სრულდება. ამიტომ შემდგომში მას გაუჭირდება ნაშთიანი გაყოფის გააზრება.

VII კლასამდე (უარყოფით რიცხვებამდე) გამოკლება შეიძლება მხოლოდ ზოგი რიცხვისა, თუმცა ყოველთვის – ზუსტად; გაყოფა კი პირიქითაა: შეიძლება ყოველი ორი რიცხვისა (ნულის გარდა), თუმცა არა ყოველთვის – ზუსტად.

კიდევ ერთი დიდი მათემატიკური სირთულეცაა. გამოკლება მხოლოდ ერთადერთი სახისაა, გაყოფა კი – ორისა: პირველი, როგორც ითქვა, ესაა ნაშთიანი გაყოფა (და მისი კერძო სახეობა – როცა ნაშთი ნულის ტოლია); მეორეგვარად, ესაა შემცველობითი გაყოფა. კონკრეტულად:

გამრავლება = ტოლ შესაკრებთა შეკრება; გაყოფა = გამრავლების საპირისპირო მოქმედება; ამიტომ, გაყოფა = რიცხვის დაშლა ტოლ შესაკრებთა ჯამად. მაშასადამე, განაყოფის მოძებნა = რამდენჯერ უნდა შევკრიბოთ გამყოფი, რათა მივიღოთ გასაყოფი.

მაგ.: 21 : 4 = ? რამდენჯერ უნდა შევკრიბოთ 4, რათა მივიღოთ 21?

4+4+4+4+4 = 20, ხოლო 21-ში მეტი ოთხეული აღარ მოთავსდება. ამიტომ 21 : 4 = 5 (ნაშთი 1), ანუ რაკი 21 = 5 • 4 + 1, ამიტომ განაყოფია 4 და ნაშთია 1. არსებითად: ვიღებთ ოთხეულებს და ვკრებთ, სანამ 21-ს არ მივაღწევთ. ასევე, რომ ყოფილიყო 20:4, მაშინ მივიღებდით 5 (ნაშთი 0) ანუ, რაც იგივეა, 20 : 4 = 5.

საყოფაცხოვრებო ვითარება:

21 ლარით (ან 20 ლარით) რამდენი ცალი 4-ლარიანი წიგნის ყიდვა შეიძლება?

II. წილადური გაყოფა, ანუ თანაბარი დაყოფა. მაგ.: 21 = 4 • *x*, *x* = 21 : 4 = 21/4 = **5 1/4**. არსებითად, ვიღებთ 4 მცირე ნაწილს და თითო ნაწილში რიგრიგობით ვამატებთ თითო-თითოს, სანამ არ ამოიწურება 21.

საყოფაცხოვრებო ვითარება: 21 ლარი როგორ გავუნაწილოთ თანაბრად 4 ბავშვს?

საქმე ისაა, რომ გაყოფის ნამდვილი პირველადი არსი – ესაა I და არა – II.

მართლაც, თანაბრად როგორ გავყოთ, მაგ. 21 4-ზე? არ ჩანს გზა. ხოლო ნაშთიანი გაყოფის გზა ბუნებრივი და თვალსაჩინოა – პირდაპირ დავიწყოთ შეკრება (ოთხეულებისა) და ვკრიბოთ მანამ, სანამ 21-ს არ გადავაჭარბებთ. ამიტომ, ჯერ კარგად უნდა ვისწავლოთ გაყოფა (შემცველობითი) და მხოლოდ ამის შემდეგ და ამის საფუძველზე დავიწყოთ გაყოფის გამოყენება თანაბრად დაყოფისთვის, წილადებისთვისაც.

ესაა მთელი სასკოლო მათემატიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი. ტრადიციულად, გაყოფა ისწავლება ან II გზით, ან I და II ერთმანეთშია აღრეული. ამგვარი მცდარი სწავლების გამო მოსწავლე ვერც ნაშთს სწავლობს კარგად და ვერც წილადებს! საქმე ისაა, რომ ლოგიკურად წილადებს წინასწარ სჭირდება ნაშთიანი გაყოფა, ნაშთიან გაყოფას კი წილადები – არა. პირიქით, წილადების ნაადრევი შემოტანა ანგრევს ნაშთიან გაყოფას! მართლაც – თანაბარი დაყოფისას ნაშთის ცნება უაზროა და ნაშთიანი გაყოფა ზედმეტია.

ტრადიციული სწავლების შედეგია ტიპური შეცდომა ნაშთიანი გაყოფისას, რომელიც მოსდით არა მარტო მოსწავლეებს, არამედ მასწავლებელთა უმრავლესობასაც, მაგ.:

102 000 : 50 000 = 102 : 50 = 2 (ნაშთი 2);

ან შემდგომი შეკვეცით: 102 000 : 50 000 = 102 : 50 = 51 : 25 = 2 (ნაშთი 1).

ეს შეცდომა გამოწვეულია წილადური, ანუ თანაბარი გაყოფის მთავარი წესით – შეკვეცით. ეს წესი კი ნაშთიანი გაყოფისთვის მცდარია! მართლაც:

რაკი 50 000 + 50 000 = 100 000, ამიტომ 102 000 : 50 000 = 2 (ნაშთი 2000).

ნაშთიანი გაყოფა თვალსაჩინოა რიცხვთა სხივზეც, მაგ., 170 გავყოთ 30-ზე:

ნაშთიანი გაყოფა რიცხვთა სხივზე



ნახაზიდან ჩანს, რომ 170-ში ეტევა 5 ცალი ოცდაათეული და კიდევ რჩება ნაშთი 20. ე.ი.

170 : 30 = 5 (ნაშთი 20).

ჯერ ბოლომდე ძალიან საფუძვლიანად უნდა გავიაზროთ I და მხოლოდ ამის შემდეგ (V კლასიდან) შეიძლება II.

გაყოფის არსის საფუძველზე, გაყოფისას შეიძლება გამოვიყენოთ გამრავლება და შეკრება. ამით ხშირად ადვილად სრულდება გაყოფა, მაგ.:

გაყოფის ადვილი გზა

I. 1500 : 250 = ? 4 • 250 = 1000; 2 • 250 = 500; 4+2 = 6; მაშასადამე 1500 : 250 = 6.

II. 90:11 = ? 8 • 11 = 88; 88 + 2 = 90; მაშასადამე 90:11 = 8 (ნ. 2).

1500:250 – თანაბარი განაწილებით თითქმის შეუძლებელია გამოთვლა, ხოლო შემცველობითით – ძალიან ადვილია. უფრო მეტიც, მხოლოდ ნაშთიან გაყოფას ემყარება **ქვეშმიწერით გაყოფის ალგორითმი**. განვიხილოთ მაგალითი: 19506:4 = ? გაყოფა ქვეშმიწერით შესრულდება დაფასთან დაწვრილებითი ხმამაღალი მსჯელობებით – სრულად იწერება ქვეშმიწერით გაყოფა. თან თითოეულ ნაბიჯს ახლავს ახსნა-განმარტებები, რათა წესი გაშინაარსიანდეს და გააზრებულ იქნეს.

19506 = 19 • 1000 + 5 • 100 + 6. ჯერ გავყოთ ათასეულები. რამდენია გასაყოფში ათასეული? ცხრამეტი. 19 გაყოფილი 4-ზე ტოლია 4-ისა. ამდენი ათასეული იქნება განაყოფში. განაყოფის ათასეულების თანრიგში ვწერთ 4-ს. ნაშთი რამდენი რჩება? ამისათვის 19-ს უნდა გამოვაკლოთ 4 • 4=16. რჩება 3 ათასეული – ეს ჯერ არ გაგვიყვია {შესამოწმებლად შევადაროთ ნაშთი 3 გამყოფს 4 – მართლაც ნაკლებია}. მაგრამ 3 ათასი 4-ზე რომ გავყოთ, განაყოფი უკვე ათასზე ნაკლები იქნება. ამიტომ გადავდივართ ასეულებზე.

```
19506 : 4 = 4876 + ნაშთი 2.
16
 35
 32                    განსხვავებული
  30                   შრიფტით
  28                   მონიშნულია
   26                  ნაშთები: 3, 2
   24
    2
```

გვაქვს 3 ათასი და კიდევ 5 ასეული, სულ – 35 ასეული. ეს 35 გავყოთ 4-ზე – მივიღებთ 8-ს. ამდენი ასეული იქნება განაყოფში. განაყოფის ასეულების თანრიგში ვწერთ 8-ს. ნაშთია 35 – 8 • 4 = 3. ამდენი ასეული ჯერ არ გაგვიყვია, მაგრამ 3 ასეული 4-ზე რომ გავყოთ, განაყოფი უკვე ასზე ნაკლები იქნება. ამიტომ გადავდივართ ათეულებზე.

გვაქვს 3 ასეული და კიდევ 0 ათეული, სულ – 30 ათეული. ეს 30 გავყოთ 4-ზე – მივიღებთ 7-ს. ამდენი ათეული იქნება განაყოფში. განაყოფის ათეულების თანრიგში ვწერთ 7-ს. ნაშთია 30 – 7 • 4 = 2. ამდენი ათეული ჯერ არ გაგვიყვია, მაგრამ 2 ათეული 4-ზე რომ გავყოთ, განაყოფი უკვე ათზე ნაკლები იქნება. ამიტომ გადავდივართ ერთეულებზე.

გვაქვს 2 ათეული და კიდევ 6 ერთეული, სულ – 26 ერთეული. ეს 26 გავყოთ 4-ზე – მივიღებთ 6-ს. ამდენი ერთეული იქნება განაყოფში, ხოლო ნაშთში გვრჩება 26 – 6 • 4 = 2. განაყოფის ერთეულების თანრიგში ვწერთ 6-ს. ნაშთი კი 2 ერთეულის, ანუ 2-ის ტოლია. განაყოფში ვწერთ: (ნ. 2).

ამრიგად, განაყოფია 4 • 1000 + 8 • 100 + 7 • 10 + 6 = 4876, ნაშთია 2.

მოცემული გასაყოფი რომ ყოფილიყო 19504, მაშინ ყველაფერი ასევე შესრულდებოდა, ოღონდ ბოლოს უნაშთოდ გაიყოფოდა – არ მოგვრჩებოდა ნაშთი 2.

როგორც ვხედავთ, ნაშთიანი გაყოფის გარეშე შეუძლებელია ქვეშმიწერით გაყოფის ალგორითმის დასაბუთება და გააზრება. უამისოდ კი იგი უაზრო ხდება და მის ნაცვლად კალკულატორით ანგარიში იქნებოდა უკეთესი! თუკი მაინც გაუგებარ მანიპულაციებს ვატარებთ, მაშინ ბარემ უფრო ადვილი საშუალება გამოვიყენოთ. გაუაზრებლად ქვეშმიწერით გაყოფის ალგორითმის სწავლა ზედმეტი ხდება.

დაბოლოს, ნაშთი, ოღონდ გაყოფის გარეშე, გვჭირდება I-II კლასებშივე. უამისოდ მოსწავლე ვერ გაიაზრებს ორნიშნა რიცხვის აგებულებას, თვლის საფუძველს და, მით უმეტეს, ოცეულებით თვლას. ნაშთიანი გაყოფა დაწყებითი კლასების მთელი არითმეტიკის გვირგვინია, იგი აერთიანებს თვლას, შეკრება-გამოკლებასა და გამრავლებასაც.

3. თვლა შტრიხებით, ნაშთიანი გაყოფა

ზოგჯერ დასათვლელია ისეთი რამ, რაც ერთბაშად არ გვაქვს თვალწინ. თუკი დასათვლელთა რაოდენობა დიდია, მაშინ მოსახერხებელია თვლა შტრიხებით.

წარმოვიდგინოთ, რომ ჟურნალისტმა უნდა გამოკითხოს 200 ადამიანი, უნდა დაუსვას მათ ერთიდაიგივე შეკითხვა, რომელსაც ოთხი შესაძლო პასუხი აქვს: „კი“, „არა“, „საშუალოდ“, „არ ვიცი“. გვაინტერესებს, 150 ადამიანიდან რამდენ-რამდენი გაგვცემს ამ პასუხებს. ჟურნალისტს ხელში უკავია ფურცელი და ფანქარი, რიგ-რიგობით მიდის ქუჩაში გამვლელებთან და უსვამს ერთსადაიმავე შეკითხვას.

მის ფურცელზე ცალ-ცალკე სტრიქონებში წერია: „კი“, „არა“, „საშუალოდ“, „არ ვიცი“. თითოეული მიღებული პასუხის შემდეგ ჟურნალისტი შესაბამის სტრიქონში ჩამოუსვამს თითო შტრიხს (მოკლე ხაზს). ყოველი დღის ბოლოს კი გადაითვლის შტრიხების რაოდენობას:

ამგვარ შტრიხებს ერთი ნაკლი აქვს – სათითაოდ გადათვლის გარეშე არ ჩანს მათი რაოდენობა. ამიტომ მოგონებულია ამგვარი, უფრო მოსახერხებელი ჩანაწერები: რაოდენობა 1-დან 4-მდე აღინიშნება ჩვეულებრივად, იმავე რაოდენობის შტრიხებით, მაგრამ 5-ის აღმნიშვნელი მეხუთე შტრიხი დაისმის არა გაგრძელებაზე, არამედ პირველი ოთხის გადამხაზავად; ასევე აღინიშნება ყველა მომდევნო ხუთეული. ე.ი. რაოდენობანი აღინიშნება ასე:

პედაგოგთა დასახმარებლად



ამგვარი აღნიშვნები იმითაა მოსახერხებელი, რომ ადამიანი დათვლის გარეშე, თვალის ერთი შევლებით, ცნობს რაოდენობას 5-მდე, 5-ს კი ცნობს გადახაზულით. შემდეგ ხუთეულების დათვლა სულ ადვილია. ხოლო, მაგ., ექვს შტრიხზე თვალის ერთი გადავლებით ვერ ვიტყვით, რამდენია – შეიძლება შეგვეშალოს: ||||||

ხუთეულებად თვლა იმ მხრივაცაა მოსახერხებელი, რომ ორი ხუთეული იგივეა, რაც ერთი ათეული.

ჩვენი ჟურნალისტი გამოკითხვის შედეგებს დაახლოებით ამგვარად ჩაწერდა:



მაშასადამე, პირველი დღის ბოლოს გამოკითხვის შედეგები ამგვარი ყოფილა:

გამოსახულება **8 • 5 + 1** ასე წაიკითხება: რვა ცალი ხუთეული და კიდევ ერთი; ანუ, რვა ხუთეული და ნაშთი ერთი.

ნამრავლი არის ტოლ შესაკრებთა ჯამი. მაგ.:

ექვსი ოთხეული = 4 + 4 + 4 + 4 + 4 + 4 = 6-ჯერ 4 = 24.

ზოგადად: $6x = 6 \cdot x = x + x + x + x + x + x$; $nx = x + x + ... + x + x$ (*n*-ჯერ)

ხოლო გაყოფა არის გამრავლების საპირისპირო მოქმედება – რაიმე რაოდენობის დაშლა ტოლ შესაკრებთა ჯამად. მაგ., 90 გავყოთ 11-ზე. ეს იმას ნიშნავს, რომ 90 უნდა დავანაწილოთ თერთმეტეულებად. ვნახოთ, რამდენი თერთმეტეული მოთავსდება 90-ში:

11+11 = 2 • 11 = 22

11+11+11 = 3 • 11 = 33

11+11+11+11 = 4 • 11 = 44

... ...

11+11+11+11+11+11+11+11 = 8 • 11 = 88

11+11+11+11+11+11+11+11+11 = 9 • 11 = 99 – ეს უკვე აღარ მოთავსდება!

ამიტომ 90-ში მოთავსდება 8 ცალი თერთმეტეული და კიდევ მოგვრჩება ნაშთი 2.

ე.ი. 90 = 8 • 11 + 2. მაშასადამე, 90 : 11 = 8 (ნაშთი 2).

ასევე: 90 : 40 = 2 (ნაშთი 10); 90 : 30 = 3 (ნაშთი 0);

90 : 20 = 4 (ნაშთი 10); 90 : 3 = 30 (ნაშთი 0);

90 : 1 = 90 (ნაშთი 0); 90 : 50 = 1 (ნაშთი 40);

90 : 70 = 1 (ნაშთი 20); 90 : 90 = 1 (ნაშთი 0);

ხოლო თუკი რიცხვს მასზე უფრო დიდ რიცხვზე ვყოფთ, მაშინ არცერთხელ არ მოთავსდება. ამიტომ განაყოფის მნიშვნელობა 0 იქნება, მაგ.: 90 : 100 = 0 (ნაშთი 90); 90 : 200 = 0 (ნაშთი 90).

როცა ნაშთი 0-ის ტოლია, მაშინ გასაყოფი გამყოფზე იყოფა უნაშთოდ. ნაშთი არ შეიძლება იყოს გამყოფზე მეტი ან მისი ტოლი. მაგალითად, როცა რაიმე რიცხვს (სულერთია, რომელს) ვყოფთ 11-ზე, ნაშთი არ შეიძლება იყოს 11, 12, 13 ან უფრო მეტი. ეს იმიტომ, რომ ამათში კიდევ მოთავსდება თერთმეტეული.

ვთქვათ, მაგ., მოსწავლემ რაღაც რიცხვი გაყო 11-ზე, განაყოფი შეცდომით მიიღო 20 და „ნაშთი“ მორჩა 14. მაშინ ამ 14-ისგან ხომ შეიძლება კიდევ ერთი თერთმეტეულის გამოყოფა. ესე იგი, განაყოფს დაემატება კიდევ ერთი 11-ეული, ხოლო ნაშთი სინამდვილეში ყოფილა 14 – 11 = 3. მაშასადამე:

11-ზე გაყოფისას მცდარი პასუხია: 20 (ნაშთი 14).

მართებული პასუხი იქნებოდა 21 (ნაშთი 3).

ნაშთიანი გაყოფის შემოწმება

მაგ.: 87 **:** 6 **=** 14 (ნაშთი 3). შევამოწმოთ:

1) შევადაროთ ნაშთი გამყოფს – ნაშთი ნაკლები უნდა იყოს: 3 < 6;

2) განაყოფი გავამრავლოთ გამყოფზე: 14 • 6 = 84;

3) მიღებულ ნამრავლს მივუმატოთ ნაშთი – რითაც უნდა მივიღოთ გასაყოფი: 84 **+** 3 **=** 87.

სწორია!

* * *

1. ჟურნალისტის მიერ გაკეთებული ჩანაწერების მიხედვით გამოთვალეთ:

I. დაახლოებით რამდენჯერ მეტმა ადამიანმა გასცა პასუხი „არა“, ვიდრე „საშუალოდ“;

II. რამდენით მეტმა ადამიანმა გასცა გარკვეული პასუხები „კი“ ან „არა“, ვიდრე მერყეევი პასუხები „საშუალოდ“ ან „არ ვიცი“;

III. სავარაუდოდ, ყოველი 10 ადამიანიდან დაახლოებით რამდენი გასცემდა პასუხს „არა“;

IV. სავარაუდოდ, ყოველი 100 ადამიანიდან დაახლოებით რამდენი გასცემდა პასუხს „კი“;

ა) 2-ჯერ, 32-ით, 3, 27; ბ) 2-ჯერ, 32-ით, 4, 20; გ) 4-ჯერ, 5-ით, 10, 14;

დ) 2-ჯერ, 23-ით, 50, 14; ე) 2-ჯერ, 32-ით, 5, 10; ვ) 4-ჯერ, 32-ით, 2, 25.

სწორი პასუხი: ა

2. №3 ტექსტში დასაბუთებულია ხუთეულებად შტრიხებით თვლის უპირატესობა. ეს დასაბუთება ემყარება ადამიანის მხედველობითი აღქმის ერთ-ერთ თავისებურებას. მოიფიქრეთ, შემდეგთაგან რომელი მსჯელობაა ყველაზე ზუსტი დასაბუთება იმისა, რომ შტრიხებით თვლაში არ ივარგებდა ხუთეულების ნაცვლად პირდაპირ ათეულებად თვლა (წინა ცხრა პარალელური შტრიხის გადამხაზავი მეათე რომ ყოფილიყო).

ა) ათეულების შეკრება უფრო ადვილია, ვიდრე ხუთეულების. ერთი თვალის გადავლებით შეიძლება 6 შტრიხიც დაითვალოს.

ბ) მიუხედავად იმისა, რომ ათეულების შეკრება უფრო ადვილია, ადამიანი ვერ შეძლებს ერთი თვალის შევლებით დათვალოს 4-ზე მეტი რაოდენობის შტრიხი, რის გამოც ათეულებად ჩაწერა და დათვლა ძალიან გაუძნელდება.

გ) მიუხედავად იმისა, რომ ათეულების შეკრება უფრო ადვილია, ერთდროულად 9 შტრიხის გადახაზვა მოუხერხებელია. უფრო ადვილია მხოლოდ 4 შტრიხის გადახაზვა.

დ) ხუთეულების დათვლაზე მეტად, ათეულების დათვლა უფრო ადვილია. გარდა ამისა, სულ არ არის აუცილებელი, რომ ადამიანი ერთი თვალის გადავლებით თვლიდეს შტრიხებს – თუ 4-ზე მეტია, ჩვეულებრივად დაითვლის.

ე) თუ წინასწარ ივარჯიშებს, ადამიანი შეძლებს ერთი თვალის შევლებით გვერდიგვერდ მიწერილი 10 და მეტი შტრიხიც დათვალოს.

სწორი პასუხი: ბ

3. მოცემული რიცხვის 18-ზე გაყოფისას მიღებული ნაშთი 17-ის ტოლია. რის ტოლია ნაშთი ამ რიცხვის 6-ზე გაყოფისას? ა) 2; ბ) 4; გ) 0; დ) 1; ე) 3; ვ) 11; ზ) 6; თ) 5.

სწორი პასუხი: თ

4. შემდეგთაგან ამოარჩიეთ ის წინადადება, რომლითაც ყველაზე კარგადაა ჩამოყალიბებული შტრიხებით თვლის წესისა და ნაშთიანი გაყოფის არსებითი კავშირი:

ა) შტრიხებით თვლისას გვაქვს რამდენიღაც 5-ეული და ნაშთი, ნაშთიანი გაყოფისას შეიძლება 10-ეულების რაოდენობაც დავითვალოთ;

ბ) როგორც შტრიხებით თვლისას არ შეიძლება, რომ ნაშთი 5-ზე მეტი იყოს, ასევე გაყოფისასაც არ შეიძლება, რომ ნაშთი გამყოფზე მეტი იყოს;

გ) შტრიხებით თვლა და ნაშთიანი გაყოფა მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან – რაკი ადამიანს არ შეუძლია, ერთი თვალის გადავლებით შეაფასოს 5-ზე მეტი შტრიხის რაოდენობა, ამიტომ შტრიხებით თვლისას 5-ეულებს თუ გამოვიყენებთ. გაყოფისას კი შეგვიძლია ნებისმიერი რიცხვი ნებისმიერზე გავყოთ;

დ) შტრიხებით თვლისას აღვრიცხავთ 5-ეულებს და კიდევ – მორჩენილ ნაშთს, რაც, არსებითად, იგივეა, რაც ნაშთიანი გაყოფა 5-ზე;

ე) შტრიხებით თვლა უფრო რთულია – საჭიროა ქაღალდზე ჩანიშვნა. გაყოფა კი კალკულატორითაც შეიძლება.

სწორი პასუხი: დ

5. გაარკვიეთ, შემდეგთაგან რომელ ვითარებაშია მართებულად გამოყენებული მოქმედებები – გამრავლება და გაყოფა:

I. გუთნით, რომელშიც ორი ხარი იყო შებმული, მოხნეს მიწის 10 ერთნაირი ნაკვეთი. მაშასადამე, ასეთივე მუშაობით იმავე დროში ერთი ხარი მოხნავდა 5 ასეთ ნაკვეთს: 10 **:** 2 **=** 5.

II. ოთხმა მხედარმა ერთად გაირბინა 16კმ. მაშასადამე, თითოეულ მხედარს გაურბენია 4კმ: 16კმ **:** 4 **=** 4კმ.

III. მამალი სასწორის თეფშზე ცალი ფეხით რომ დადგა, სასწორმა 2კგ უჩვენა. მაშასადამე, ორი ფეხით რომ დამდგარიყო, სასწორი 4კგ-ს უჩვენებდა: 2 • 2=4.

IV. ეტლში, რომელიც ტვირთიანად 360კგ-ს იწონის, 3 ცხენია შებმული, რომლებიც თითქმის თანაბრად მუშაობენ. მაშასადამე, თითო ცხენი ეზიდება დაახლოებით 120კგ ტვირთს – 360 **:** 3 **=** 120.

V. მატარებელმა, რომელშიც ისხდნენ მამუკა და ხვიჩა, 40კმ გაიარა. მაშასადამე, ორივეს ერთად გავლილი ექნებოდათ 80კმ : 2 • 40კმ **=** 80კმ.

– *მხოლოდ:* ა) I, IV; ბ) II, V; გ) IV; დ) I; ე) I, III; ვ) I, III, IV; ზ) III, IV; თ) არც ერთი.

სწორი პასუხი: გ

6. გაარკვიეთ, წინა ამოცანის ხუთი ვითარებიდან რომლის მართებულად მიჩნევაა ყველაზე:

I. უხეში შეცდომა; II. უმნიშვნელო შეცდომა (თუმც მაინც შეცდომა)

ა) V, I; ბ) V, II; გ) III, II; დ) V, IV; ე) II, III; ვ) V, III; ზ) II, I; თ) III, I.

სწორი პასუხი: ა

7. ქვეშმიწერით გამრავლების შემდეგი მაგალითები დაალაგეთ მართებული მეთოდიკური თანმიმდევრობით. ოღონდ ჯერ გამორიცხეთ საზეპირო, ანუ შემამზადებელი I ფაზისა:

(ა) 1654 • 6; (ბ) 45000 • 7; (ც) 275 • 8; (დ) 6 • 103; (ე) 312301 • 3; (ფ) 15 • 275.

ა) ე, ა, ც, ბ, ფ; ბ) ე, ბ, ა, ც, ფ; გ) დ, ა, ე, ფ, ც; დ) ც, ე, ა, ფ, ბ;

ე) დ, ც, ე, ა, ფ; ვ) ე, ც, ბ, ა, ფ; ზ) ე, ც, ა, ბ, ფ; თ) ც, ე, ბ, ა, ფ.

სწორი პასუხი: ა

8. საკლასო ოთახში ეკიდა თვალსაჩინოების პლაკატი, რომელზეც ასეთი სქემა იყო:

შემდეგთაგან აარჩიეთ ამგვარი თვალსაჩინოების მთავარი ნაკლი:

ა) ცუდადაა შერჩეული რიცხვები, რადგან ორი თანამამრავლი ტოლია;

ბ) ცუდადაა შერჩეული სათვლელი ნაკვთები – ჯობდა, კონკრეტული საგნები ყოფილიყო (მაგ., გირჩები ან სოკოები);

გ) უაზროა ორმაგი გამრავლების გათვალსაჩინოება ნიშნაკებით;

დ) უაზროა მეორე ანდა მესამე თანამამრავლის გათვალსაჩინოება ნიშნაკებით;

ე) ცუდად წერია თანამამრავლთა თანმიმდევრობა (**3 • 2** თუ **2 • 3**);

ვ) გამრავლების გასათვალსაჩინოებლად საჭიროა ცხრილის ფორმის სქემა;

ზ) გამრავლების გათვალსაჩინოება საზოგადოდ ზედმეტია, არაფრისმომცემია.

სწორი პასუხი: ვ

9. წილადების სწავლებას კონკრეტულად რისთვის სჭირდება წინასწარ ნაშთიანი გაყოფა?

ა) შემცველობითი გაყოფა ვერ ჩატარდება, თუკი წინასწარ თანაბარი დაყოფა არ ჩატარდა.

ბ) წილადების მთავარი საკითხის (წილადის ძირითადი თვისების) დასასაბუთებლად, ხოლო შემდგომში მოსწავლისთვის – ამ თვისების გასააზრებლად;

გ) ერთზე მეტი წილადის (ანუ ზოგადად წილადის!) შემადგენლობის გასააზრებლად და მისგან მთელი და წილადური ნაწილების გამოსაყოფად;

დ) თანაბარი დაყოფა ვერ ჩატარდება, თუკი წინასწარ შემცველობითი გაყოფა არ ჩატარდა.

სწორი პასუხი: გ

10. შემდეგ გაყოფათაგან ყველა, ერთის გარდა, ზეპირად ყველაზე ადვილად სრულდება ტექსტში აღწერილი ადვილი ხერხით: ან გამრავლებით, ან გამრავლებითა და შეკრებით. რომლისთვისაა მოუხერხებელი ეს ხერხი?

ა) 90 : 45; ბ) 880 : 110; გ) 1 მლნ : 20 ათასი; დ) 125 : 25; ე) 750 : 150; ვ) 1000 : 8.

სწორი პასუხი: ვ

11. წინა ამოცანის მართებულ პასუხში მოცემული გაყოფისთვის შეარჩიეთ შემდეგთაგან საუკეთესო გზა:

ა) შევსების ხერხი; ბ) გასაყოფის დაშლის ხერხი; გ) დამრგვალების ხერხი;

დ) ნაწილ-ნაწილ (ანუ თანდათანობით) გაყოფა.

სწორი პასუხი: დ

12. წინა ამოცანის ასარჩევი პასუხებიდან მოძებნეთ არა გაყოფის, არამედ გამოკლების ხერხი.

სწორი პასუხი: ა

13. №2 ტექსტში გაყოფისას 19506:4 ჩვენ დავიწყეთ ათასეულებით და ამიტომ პირდაპირ 19 ათასეული გავყავით 4-ზე. მაგრამ რომ მივყოლოდით გასაყოფის ციფრებს და დაგვეწყო ათი-ათასეულებით ანუ 1-იანით, – რა შეიცვლებოდა ამ შემთხვევაში?

ა) ასე დაწყება არ ვარგა, რადგან შემდგომი გაყოფა გართულდება და მოუხერხებელი იქნება;

ბ) რაკი 1-ში 4 ვერ მოთავსდება, დაიწერება 0 და ნაშთი დაგვრჩება 1, ამ ერთს მერე მიეწერება მომდევნო ციფრი 9 და მივიღებთ იმავე 19-ს, ამიტომ საბოლოოდ სრულებით არაფერი არ შეიცვლება;

გ) ასე დაწყება არ შეიძლება, რადგან 1 არ იყოფა 4-ზე (ამიტომ ასე დაწყებისას მცდარ განაყოფს მივიღებთ);

დ) უბრალოდ, განაყოფს წინ დაუჯდებოდა 0-იანი (მაგრამ რიცხვის ჩანაწერისთვის მარცხნივ ნულის მიწერით რიცხვი ხომ არ იცვლება);

ე) უნაშთოდ გაყოფისას შეიძლება ასე დაწყება (არსებითად არაფერი შეიცვლება), მაგრამ არ ივარგებს ნაშთიანი გაყოფისას, რადგან მცდარ ნაშთს მიგვაღებინებს.

სწორი პასუხი: დ

მედიაწიგნიერება

სოფლის მაშენებლები

თემა: სულხან-საბა ორბელიანის „სოფლის მაშენებლები“
საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა
კლასი: V
სკოლა: გორის №8 საჯარო
პედაგოგი: ნანა ლომიძე

მიზანი: მოსწავლემ უნდა შეძლოს ლიტერატურული ნაწარმოებებიდან და მედიარესურსებიდან მიღებული ინფორმაციის დახარისხება და გააზრება, გამოავლინოს კრიტიკული აზროვნების უნარი წინააღმდეგობრივი მოვლენების შეფასებისას, გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება წამოჭრილი საკითხის მიმართ და შეძლოს დასკვნის გამოტანა.

მედიაწიგნიერების მიზნები:
მედიარესურსის კრიტიკული ანალიზი და სინამდვილის რეპრეზენტაციის შეფასება.

ესგ-სთან შესაბამისობა:
ქართ. V.4. მოსწავლეს აქვს ლიტერატურული ნაწარმოების ესთეტიკური შეფასების საწყისი უნარი.
ქართ. V.8. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ჟანრის მხატვრული ტექსტების წაკითხვა და ადეკვატურად გაგება-გაანალიზება.
ქართ. V.9. მოსწავლეს აქვს წაკითხული მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაციის საწყისი უნარი.
ქართ. V.11. მოსწავლეს შეუძლია ტექსტის ვერბალური და არავერბალური ნაწილების ერთმანეთთან დაკავშირება, ინტერპრეტირება და მსჯელობა მათ ურთიერთმიმართებაზე; აქვს მედიაწიგნიერების საწყისი უნარ-ჩვევები.
ქართ. V.12. მოსწავლეს შეუძლია კითხვის სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება ტექსტის უკეთ გააზრების მიზნით.
ქართ. V.13. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის ტექსტების დამოუკიდებლად შექმნა.

გამოყენებული აქტივობები:
1. გონებრივი იერიში;
2. პაუზებით კითხვა;
3. ჯგუფური მუშაობა;
4. დისკუსია;
5. სქემები;
6. თხზულების წერა.

წინარე ცოდნა:
– მოსწავლეები იცნობენ იგავ-არაკის მახასიათებლებს;
– ალეგორიას.

აქტივობა 1.
დაფაზე ვწერ ლექსიკურ ერთეულებს: ძაღლი, სოფელი, მამალი, აშენება. მოსწავლეებს ვთხოვ, 5 წუთში დაწერონ ამ სიტყვების გამოყენებით თხზულება, ამბავი და მოუფიქრონ სათაური.
მოსწავლეები ახდენენ დაწერილი თხზულების პრეზენტაციას.

აქტივობა 2.
დაფაზე ვწერ იგავის სათაურს და ვთხოვ, ივარაუდონ, რაზე იქნება ნაწარმოები შემდეგ კი კითხულობენ იგავს.

კითხვის აქტივობა:
კლასი დაყოფილია ჯგუფებად, მათ ურიგდებათ იგავ-არაკი „სოფლის მაშენებლები“, კითხულობენ სამ პაუზად დაყოფილ ტექსტს (ტექსტი იხილეთ ქვემოთ). თითოეული ნაწილის წაკითხვისას, ვთხოვ, დაასათაურონ ეპიზოდი, მონიშნონ უცხო სიტყვები და დაწერონ მათი სავარაუდო განმარტება.

აქტივობა 3.
მოსწავლეებს ვთხოვ გაიხსენონ ტექსტი, უპასუხონ კითხვებს და წყვილებში შეავსონ სქემა:

კითხვები	სავარაუდო პასუხები
რომელმა წინადადებამ მიიქცია თქვენი ყურადღება ყველაზე მეტად? რატომ?	„სოფელი ავაშენოთ“ – როგორ უნდა ააშენონ სოფელი ყივილითა და ყეფით?
რა თვისებებს ავლენენ პერსონაჟები?	ძაღლი სასტიკი და დაუნდობელია, მამალი, მოხერხებული, მელია – მიამიტი.
რა მოხდება შემდეგ?	მამალი და ძაღლი სოფელს ვერ ააშენებენ
გამართლდა თქვენი ვარაუდი?	კი

აქტივობა 4.
ტექსტის წაკითხვის შემდეგ, მოსწავლეებს ვაჩვენებ მულტფილმს „ტყის კვარტეტი“
https://www.youtube.com/watch?v=l6Ql8nFFymA
გონებრივი იერიშის გამოყენებით, კლასის დახმარებით, ვავსებთ სქემას:

მულტფილმის და იგავის მსგავსება	მულტფილმის და იგავის განსხვავება
• კონფლიქტი მელიასა და ძაღლს შორის; • მამლისა და ძაღლის მეგობრობა; • სოფლის აშენების სურვილი.	• სხვადასხვა სათაური; • მუსიკალური გაფორმება მულტფილმში; • მულტფილმის დასაწყისში გამოყენებულ დიალოგში სხვა ფრაზებია; • მულტფილმში მთავარი სათქმელი სიმღერითაა გადმოცემული; • მელიას სტუმრობა იგავში სხვა მიზნითაა, მულტფილმში – სხვა; • მელიის მეგობარი კატა იგავში არ ჩანს; • მელია სოფლის აშენებაში უნდა დაეხმაროს, ეს კი იგავში არ არის; • მულტფილმში ჩანს მშენებარე სახლები, იგავში – არა; • მულტფილმში ძაღლი გაიტყუეს და მელამ მამალი მოიტაცა. ეს ეპიზოდი იგავში არ არის; • მელას მამალი შემთხვევით გააგდებინა ძაღლმა ხელიდან – ასეთი რამ იგავში არ ჩანს; • მელიას ცბიერება შეიტყო ძაღლმა და სცემა, იგავში – მელიამ მძინარე ძაღლი რომ გააღვიძა, ამიტომაც სცემა; • იგავში კუდი მოსწყვიტა ძაღლმა მელიას, მულტფილმში – არა. • შეშინებული კატის ემოციები არ არის იგავში.

აქტივობა 5.

შეკითხვები	სავარაუდო პასუხები
რომელი ეპიზოდი ვერ მოხვდა მულტფილმში?	• დასაწყისი, ძაღლისა და მამლის დამეგობრება; • მელიის კუდის მოწყვეტა; • მამლისა და მელიას დიალოგი ადგილის თაობაზე; • ძაღლის გაღვიძება.
რომელი ეპიზოდი არ არის იგავში და არის მულტფილმში?	• კატისა და მელიის ჩანაფიქრი; • მელია სოფლის აშენებაში უნდა დაეხმაროს, მათთან ერთად მღერის; • მშენებარე სახლები; • ძაღლის გატყუება და მამლის მოტაცება. მელას მამალი შემთხვევით გააგდებინა ძაღლმა ხელიდან; • მელიას ცბიერება შეიტყო ძაღლმა და სცემა; • შეშინებული კატის ემოციები არ არის იგავში.
თქვენი აზრით, რომელია პირველი წყარო, იგავი თუ მულტფილმი?	იგავი
დააკვირდით მელოდიასა და სიმღერებს, გახმოვანებას, ჟესტებსა და მიმიკებს. როგორი განწყობა დაგეუფლათ?	ტექსტში არ ჩანს თუ რა ჟესტები და მიმიკებია საჭირო. ეს მხოლოდ ჩვენს ფანტაზიაზეა დამოკიდებული. მულტფილმში კი ემოციები, გრძნობა და ხმა სიტუაციიდან, ამბიდან გამომდინარეა.
რის მიხედვით შეარჩია რეჟისორმა მელოდია ან სიმღერა?	მელოდია სახალისოა და ამბავთან შესაფერისია. სიმღერა ტექსტის შინარსს, მთავარ სათქმელს უკავშირდება
როგორია გარემო, რომელშიც პერონაჟები მოქმედებენ?	ტექსტში გარემოს დიდი ყურადღება არ ეთმობა.
როგორია გადასაღები მოედანი, ჩანს თუ არა ეს ტექსტში?	ტექსტში არ ჩანს, მხოლოდ წერია ტყეში წავიდნენო, მულტფილმში ზუსტადაა წარმოჩენილი.
ვისთვისაა განკუთვნილი ეს მულტფილმი?	8 წლამდე ბავშვებისათვის
იგავი?	10 წლამდე ბავშვებისათვის
(ასაკის განსაზღვრა) რომელმა უფრო სრულყოფილი ინფორმაცია მოგაწოდათ?	მულტფილმმა

აქტივობა 6.
ამის შემდეგ ვაჩვენებ ჩემ მიერ შექმნილ ანიმაციას: https://youtu.be/mutIWT2G2lM და ვთხოვ, გაარკვიონ:
1. რომელი უფრო შთამბეჭდავია, გახმოვანებული და მუსიკალური თუ მხოლოდ ანიმაციური?
2. დაასაბუთონ თავიანთი მოსაზრება, დაადგინონ რომელი ეპიზოდი ვერ მოხვდა ჩემ მიერ შექმნილ რესურსში? რატომ?

აქტივობა 7.
დავალება
გააგრძელონ იგავი, შექმნან თავიანთი თხზულების მიხედვით ელექტრონული ან ჩვეულებრივი კომიქსი, შეურჩიონ შესაბამისი მელოდია და სიმღერა.

წერითი დავალება – მოკლედ აღწერონ როგორ შექმნეს თხზულება, რის მიხედვით მოაკლეს ან დაამატეს ეპიზოდები კომიქსში. როგორი დამოკიდებულება ჩამოუყალიბდათ ტექსტისა და კომიქსის მიმართ? რამდენ ნაწილად დაყვეს კომიქსი? მულტფილმი და უხმო ანიმაცია რომ არ ენახათ, მხოლოდ იგავით შეძლებდნენ ასეთი კომიქსის შექმნას?

სიბრძნე სიცრუისა

სოფლის მაშენებლები

(პირველი ეპიზოდი)
ერთი ძაღლი და ერთი მამალი დაძმობილდნენ: სოფელი ავაშენოთო!
ძაღლმა უთხრა: როგორ ავაშენოთო?
მამალმა უთხრა: შენ იყეფე, მე ვიყივლებ და აშენდებაო.
წავიდნენ ტყეში.

(მეორე ეპიზოდი)
ძაღლმა ყეფა დაიწყო და დაეძინა. მამალი ხეზე შეჯდა, ყივილი დაიწყო. მელას ხმა ესმა, მოვიდა და მამალს ჰკითხა: მანდ რას აკეთებო?
მამალმა უთხრა: სოფელს ვაშენებთო.
მელიამ უთხრა: ჩამოდი, სახლის ადგილი მომიზომეო!
მამალმა უთხრა: მამასახლისი მანდ წევს, გააღვიძე და ეგ მოგიზომავსო!

(მესამე ეპიზოდი)
მელია მამლის ნდობამ შეაცდინა, მივიდა ძაღლთან, გააღვიძა და უთხრა: ადექი, სახლის ადგილი მინდაო.
წამოდგა ძაღლი, გამოუდგა მელიას, დაჩეჩქვა და კუდი მოწყვიტა. წავიდა დაკოდილი, დაგლეჯილი მელა, გორაკზე შედგა და დაუძახა: მე ხომ ჩემი ჭკუისა დამემართა და თუ თქვენ მაგ საქმით სოფელი ააშენოთ, იმასაც ნახავთო!

საუბრები ლიტერატურაზე

...და კვლავ ფიქრები დავით გურამიშვილზე

ათეული წლის წინ საგანმანათლებლო რეფორმის ფარგლებში მიმდინარეობდა ოთხწლიანი პროგრამა – „ირმის ნახტომი“, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოს სკოლების ჩართვას ერთიან ინტერნეტქსელში. სწორედ ეს პროგრამა ახორციელებდა ლიტერატურულ პროექტს „ვახტანგ VI“, რომლის მიზანი იყო მასწავლებელთა და მოსწავლეთა ძალებით მთელი ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობის დიგიტალიზაცია. ელექტრონული რესურსების მომხმარებელთათვის ხელმისაწვდომი ხდებოდა ქართული ლიტერატურის მდიდარი ტექსტური და აუდიო მასალა.

თბილისის №24 საჯარო სკოლის ქართულის კათედრას დავით გურამიშვილი გვხვდა წილად. მე ამ პროექტს ვხელმძღვანელობდი, ასე დაიწყო ჩემი დავით გურამიშვილთან „დაახლოება“. პირველად სწორედ მაშინ ჩავუღრმავდი დავითის როგორც პოეტისა და მოაზროვნის, მამულიშვილისა და შემოქმედის, ქრისტიანი თეოლოგისა და გამომგონებლის, მებრძოლისა და მეურნის ღვაწლს, ზოგადად, დავით გურამიშვილის ფენომენს. მოსწავლეებთან ერთად გავეცანი არაერთ სამეცნიერო ნაშრომს, შევხვდით მკვლევარ-მეცნიერებს, საზოგადო მოღვაწეებს, პოეტებს, მწერლებს, საპატრიარქოს უმაღლეს სასწავლებელთა პროფესურასა და ხელნაწერთა ინსტიტუტის მუშაკებს, პროექტი „დავით გურამიშვილი“ თემატურად გავშალეთ და შევავსეთ სხვადასხვა მიმართულებით: ბიბლიოგრაფია, ბიოგრაფია, ეპოქა, ისტორიული სიმართლე, გურამიშვილი ნოვატორი, საზოგადოებრივი აზრი ქართველ პოეტზე, საქართველო და უკრაინა, აფორიზმები, თარგმანები, გურამიშვილი ხელოვნებაში (მუსიკა, კინო, მხატვრობა, ხუროთმოძღვრება), გამომგონებელი, ნიზამი და გურამიშვილი, მეტრო „გურამიშვილი“, ერთი სიყვარულის ამბავი...

დრო დაუნდობელია, სამწუხაროდ, დღეს ვეღარ შევხვდებით და ვერ ვიგრძნობთ ბატონ რევაზ სირაძის მხურვალე გულს, სიყვარულით ანთებულ თვალებს დავით გურამიშვილის პოემაზე მსჯელობისას, ვერც ბატონ მერაბ ბერძენიშვილს გავესაუბრებით დავითის ძეგლის თაობაზე... ვერ მოვისმენთ მის წუხილს დავით გურამიშვილის ძეგლის ირგვლივ გამეფებულ უხერხულ პირობაზე...

უხსოვარ დროს ქართველთა ამალამ და მირიან ბატონიშვილმა მდინარე დონის გადმოლახვისას სასწაულებრივად გადაარჩინეს „დავითიანის“ ხელნაწერი. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ შევინარჩუნეთ და ვერ ვიხსენით „მსახვრალი ხელისგან“ პროექტი „დავით გურამიშვილი“. რასაც ვერ წარმოვიდგენდით, ის მოხდა: გვეგონა, საერთაშორისო ქსელში (საავტორო უფლებით, მისამართზე – Guramishvili.ge) პოეტს მივუჩინეთ ბინა, მაგრამ ერთ დღეს ვერც განათლების სამინისტროსა და ვერც სკოლის ვებგვერდზე ვერ მივაკვლიეთ ნაშრომს.

ადამიანთა უპასუხისმგებლობამ გაგვწირა, თუ ისევ და ისევ დავით გურამიშვილის უიღბლობამ, არ ვიცი, ფაქტია, არაერთგზის დაჯილდოებული (ორგზის პირველი ხარისხის დიპლომით) პროექტი დაიკარგა... „ახლა მობრძანდი, მნახველო, მნახე,“ – „საფლავის ქვაზედ დასაწერი ლექსი“ კვლავ გვახსენებს: გურამიშვილი მომკითხველს, მნახველს და მსმენელს გვიხმობს, გვეძახის...

საგაკვეთილო პროცესში, მოსწავლეებთან საუბრისას ხშირად ვამახვილებ ყურადღებას დავით გურამიშვილის, როგორც პიროვნებისა და მოქალაქის ყოფა-ცხოვრებაზე, მის ადამიანურ ბუნებასა და სვე-ბედზე. მართალია, მკვლევარნი და ლიტერატურათმცოდნენი უფრო რელიგიურ-სუფიურ სამოსში ხვევენ მის პოეზიას, მაგრამ მან ამ ქვეყნად ხომ სრულყოფილი კაცის ჭეშმარიტი ცხოვრებითაც იცხოვრა. სწორედ ამის გამოხატულებაა „ქაცვია მწყემსი“, და „ზუბოვკა“.

დამერწმუნეთ, კლასგარეშე მუშაობისას ელგუჯა მაღრაძის „გოდებასაც“ თუ წავაკითხებთ, მოსწავლეთათვის შორეული დიდაქტიკოსი არ დარჩება მხოლოდ „ქართლის ჭირის“ მეისტორიედ და სწავლის აუცილებლობის მქადაგებლად.

სიყვარული თავად უფალია და გამორჩეულ მოკვდავთ სწორედ ამ გრძნობის მეშვეობით ძალუძთ მკვდრეთით აღდგომა, ამ მხრივ დავით გურამიშვილი გამონაკლისი როდია.

„ვიდრე ჟამი დაჰკრავდეს, მხოლოდ შენს წიაღში მწადს ყოფნა, მხოლოდ შენა ხარ ის მყუდრო სავანე, სადაც მე უნდა ხშირად განვისვენო. რა დედამ გშობა ეგ ზომ ტურფა!

შენს დანახვაზე გული ძგერას უმატებს და სხეულს შემწველი ცეცხლის მგზნებარება წვავს. როგორი დამყოლი იყავი, მიუხედავად შენი ნებიერებისა, როგორი თვინიერი და სათნო ხასიათი გქონდა. ახლა კი ხშირად ჭირს შენთან ურთიერთობის დამყარება. შეუსმენელი გახდი, უყურადღებო, სხვისი ჭირის არად ჩამგდები. ვკითხულობ და ვერ გამიგია, რატომა ggვრის ჩემი დაჭრილი გულის კვნესა სიამოვნებას. ხშირად, შენი გაჰაჯირ სიტყვის გამო, მიფიქრია ამქვეყნიურ ამაოებაზე. შენი თანადგომის გარეშე მე უძლური ვარ, შენს იქით გზა არ მაქვს. შენ კიდე გამირბიხარ, ობოლი გრძნობა ასე უღვთოდ უნდა გასწირო?

როგორც ღვთის მონას, ალბათ, შენც გაკისრია რაღაც ვალდებულება გარდა ე მაგ შენი სიამოვნებისა. ალბათ გაჭირვებულ კაცს უნდა უთანაგრძნო. იმ დღეს ჩაგყურებდი სახეში, პირზე ღიმილი გეფინა, შენი ელვარე ღიმილი და აჟუჟუნებულნი თვალნი, ალმასებრ ყველაფრის გამკვეთნი, მე ახლაც მახსოვს ის შენი ღიმილი – ისე იღიმებოდი, თითქოს ისევ გიყვარდი.“ [1]

„...წყალწაღებული ხავსს ეჭიდება ნიადაგ და მე იმის იმედით ვიცოცხლებ, რომ შენ კვლავ ჩემი იქნები...

ერთი რამ კი ვერ გამიგია! მე პირდაპირი კაცი ვარ და მუდამ იმას ვამბობ, რასაც ვფიქრობ. ამ დღესავით ნათელ საქმეს, ჩვენს სიყვარულს, რატომ უგონებ რაღაც ხლართებს და დაბრკოლებებს, რატომ არ გინდა ისეთივე ნაღდი, უშურველი, გულისხმიერი და ნათელი ადამიანი იყო, როგორიც წინა წლებში. იყავი ის, რაც სინამდვილეში ხარ, შენგან თვალღება უკადრისი საქმე უნდა იყოს. შენ შენი სინაღდითა და სიალალითა ხარ კარგი, მიმზიდველი, საოცნებო და სანეტარო,“ [2] – ეს და არა მხოლოდ ეს, სხვა სამიჯნურო ბარათებიც ინახებოდა იმ მუყაოს საქაღალდეში, რომელიც მოიპოვა დმიტრო კოსარიკმა, ქართველებზე ამაგდარმა უკრაინელმა მკველვარმა.

მისი გარდაცვალების შემდეგ, დორა დავიდენკომ ეს საქაღალდე ქართულ დელეგაციას გადასცა, დავით გურამიშვილის დაბადებიდან 275 წლისთვის იუბილეს დღეებში. აღსანიშნავია, რომ სწორედ დმიტრო კოსარიკმა მიაგნო გარდაცვალებულის საფლავზე, თუჯის ფირფიტაზე შთენილ წარწერას: „Князь Давид Гурамов“.

დავუბრუნდეთ ჯერ კიდევ უკრაინაში მყოფ გამიჯნურებულ პოეტს:

„ზუბოვკიდან მომავალმან ვნახე ერთი ქალი,
მეტად ტურფა, შვენიერი, მაზე დამრჩა თვალი,
ვკითხე, მზეო, სიდამ მოხვალ, ხარ სად წამავალი?
გეაჯები, მაცოდინე შენი გზა და კვალი,
შენთვის გული ქვად გარდმექცა, გახდა, ვით კლდე სალი,
მასხი წყალი, დამიშრიტე, მე შენი მწვავს ალი.“

ნათელია, გზნება და ლტოლვა ქალისადმი უცხო არ არის გურამიშვილის შემოქმედებაში, თუმცა მეცნიერთა აზრით, (კორნელი კეკელიძე, ალექსანდრე ბარამიძე, მერაბ ღაღანიძე, რევაზ სირაძე, რევაზ ბარამიძე ...), ის უაღრესად მორწმუნე, ღვთისმოსავი პოეტია, ამიტომ „ზუბოვკა“ თავისი ჩანაფიქრით წმინდა ალეგორიაა, სუფიური წარმოშობის მისტიური აზრის შემცველი.

მე არ გამოვრიცხავ, რომ სასიყვარულო ბარათები, რომელიც თარგმნილია კიევის უნივერსიტეტის მასწავლებლის – ზინაიდა უვარენკოს მიერ, მართლაც ეკუთვნოდეს ქართველ პოეტს, დავით გურამიშვილს. ამას მაფიქრებინებს ამ ბარათებში ჩატეული გრძნობის სიმხურვალე და თავად სიყვარულისადმი ზეაღმატებული განცდა, როგორც რუსთაველი იტყოდა, „სიყვარული არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი...“ და გალაკტიონს დავესესხები, „არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ“.

ამის ნათელი, რეალური გამოხატულებაა ნიკოლოზ ბარათაშვილის უკვდავყოფის მაგალითი ეკატერინე ჭავჭავაძის სიყვარულის მადლით.

ლამისყანიდან მირგოროდამდე 312 წლის მერეც გზა ვიწრო ბილიკითა თუ შარაგზით ქართველთ კვლავ დასაკვა-მოსაძიებელი გვაქვს, რომ მივუახლოვდეთ პოეტის განცდებს, ემოციებს, უკვე მინავლულ ქართულ, ჭეშმარიტ სულს და ავხსნათ ქარაგმა – გურამიშვილის ფენომენი.

ვფიქრობთ, „დავითიანი“ როგორც ავტობიოგრაფიული ნაწარმოები, პოეტის პიროვნების ამოცნობის თვალსაზრისით, ჯერ კიდევ შესასწავლია.

საქართველოსა და უკრაინას შორის კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობა უკვე იძლევა ყველა პირობას ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის. დავით გურამიშვილი იმ მასშტაბის შემოქმედია, რომლის ცხოვრებისა და აზრთა უკეთ გაცნობად საჭიროა დამუშავდეს ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამა. ყოველივე ეს, ცხადია, მოქმედ მასწავლებელთა საკეთებელია, თუმცა ჩვენ ღრმად უნდა ვიყოთ დარწმუნებული, რომ რუდუნებით გაწეულ შრომას, განათლების სამინისტროს მესვეურნი, კვლავ უდიერად არ მოეკიდებიან.

თამარ ბარისაშვილი
თბილისის №24 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის უფროსი მასწავლებელი

1.2. ელგუჯა მაღრაძე, „მწყურიან მისთაა ყვავილთა ყნოსანი“

გამოცდილება

ესგ გამჭოლი კომპეტენციების განვითარება პროექტ-გაკვეთილის საშუალებით

მერვე კლასის რუსული ენის სახელმძღვანელოში (ავტორები: მ. ლორთქიფანიძე, ი. ჩხეიძე, თ. ჩიმაკაძე) მასალა თემატურად ისეა შერჩეული, რომ მასწავლებელს საშუალებას აძლევს დაგეგმოს და განახორციელოს გაკვეთილი-პროექტი. ერთ-ერთი ასეთი თემაა „Читаем стихи русских поэтов о Грузии“. ამ მასალასთან კავშირში მოსწავლეებთან შეთანხმებით გადავწყვიტეთ, დავგეგმეთ და განვახორციელეთ გაკვეთილი-პროექტი თემაზე „Сны о Грузии“.

რატომ ავირჩიეთ ეს თემა? სრულფასოვანი მოქალაქის აღზრდისათვის მნიშვნელოვანია კულტურათშორისი დიალოგი, რასაც ხელს უწყობს წარმოდგენილი თემა.

რატომ ავირჩიეთ აქტივობა პროექტი? იმიტომ, რომ ის ხელს უწყობს ესგ განსაზღვრული გამჭოლი კომპეტენციების განვითარებას.

მოკლედ წარმოგიდგენთ გაკვეთილი-პროექტის მომზადებასა და მიმდინარეობას.

მოსწავლეთა შესაძლებლობებიდან გამომდინარე განვსაზღვრეთ მიზანი ესგ სტანდარტების შესაბამისად. მოსწავლეებთან შეთანხმებით განვსაზღვრეთ დრო, მათივე ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით გავანაწილეთ დავალებები, შევიმუშავეთ პროექტ-გაკვეთილის ჩატარების ფორმა, ასევე შეფასების სქემა.

საკლასო ოთახში მერხები არატრადიციულადაა განლაგებული. ემოციური ფონის შესაქმნელად ისმის სიმღერა „Родимая земля“ ვახტანგ კიკაბიძის შესრულებით, ხოლო ეკრანზე მოსწავლეთა მიერ მომზადებული ვიდეოკლიპი „საქართველო“ გადის, სიმღერის ტექსტი ქმნის დადებით ემოციურ განწყობას:

„Земля моих отцов. земля родных людей.
Любовь моя, забота и награда.
Наверно, земли есть и краше, и теплей,
Наверно, есть, но мне других не надо“.

მასწავლებელი მოკლედ ყვება რუსეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობების შესახებ, კითხულობს ნაწყვეტს ევგენი ევტუშენკოს გამოსვლიდან მწერალთა კავშირში 1958 წლის 28 მარტს „Зеленая калитка“. წამყვანები საუბრობენ რუსი პოეტების საქართველოში მოგზაურობის შესახებ, შიგადაშიგ მოსწავლეები კითხულობენ რუსი პოეტების საქართველოსადმი მიძღვნილ ლექსებს, წარმოადგენენ პრეზენტაციებს, მათ მიერვე შესრულებულ ნახატებს, დაწერილ ესეს.

გაკვეთილის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო თბილისს, როგორც რუსი პოეტების შთაგონების წყაროს, გაისმის ცნობილი მუსიკა „თბილისო“, ვიოლინოზე ლიანა ისაკაძის შესრულებით, რომლის ფონზეც მოსწავლეები კითხულობენ რუსი პოეტების ლექსებს თბილისზე.

გაკვეთილი-პროექტის ფინალი ოპტიმისტურია, ერთ-ერთი მოსწავლე კითხულობს ელენა ნიკოლაევსკაიას ლექსს „ივერია“:

„Иверия, Иверия,
Край солнца и тепла.
Земля, где в полной мере я
Так счастлива была!
Сполнена доверия
К тебе всей жизнью рвусь,
Иверия, Иверия,
любовь моя и грусть...

Ты праздника предверие
И чистота небес.
Иверия, Иверия,
Ты – чудо из чудес!
Надеюсь, жду и верю я,
Что встретимся мы вновь,
Иверия, Иверия,
Мой праздник и любовь.“

გაკვეთილი დასრულდა აქტივობით „ვიცი-გავიგე-მინდა ვიცოდე“. გაკვეთილის მნიშვნელოვანი ნაწილია შეფასება, რაც მოხდა მოსწავლეებისათვის წინასწარ ცნობილი შეფასების სქემის შესაბამისად.

პროექტი-გაკვეთილი ხელს უწყობს ესგ გამჭოლი კომპეტენციების ხორცშესხმას, ეს კომპეტენციებია:

წიგნიერება – გაკვეთილი-პროექტის მომზადების პროცესში მოსწავლეები ეცნობოდნენ ლიტერატურას რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის, რუსი მწერლების საქართველოში მოგზაურობის, მათი შთაბეჭდილებების, საქართველოსადმი მიძღვნილი ნაწარმოებების შესახებ... უზიარებდნენ ერთმანეთს მოსაზრებებს, ამუშავებდნენ მოძიებულ მასალას... ხოლო გაკვეთილი-პროექტის ჩატარების დროს ყვებოდნენ ამის შესახებ, კითხულობდნენ ლექსებს საქართველოზე.

მედიაწიგნიერება – მოსწავლეებმა მოამზადეს ვიდეოკლიპი „საქართველო“, რომელიც ერთდროულად იყენებს ენობრივ, ხმოვან და ვიზუალურ საშუალებებს, ისინი, მასწავლებლის დახმარებით, მოპოვებული მრავალფეროვანი მასალიდან შეარჩევდნენ ყველაზე მნიშვნელოვანს, რაც ინფორმაციის გაფილტვრას გულისხმობს.

ციფრული წიგნიერება – მოსწავლეები ინტერნეტით მოიძიებდნენ თემასთან დაკავშირებულ ლიტერატურას, ელექტრონული ფოსტისა და სოციალური ქსელის საშუალებით უზიარებდნენ ერთმანეთს და მასწავლებელს შთაბეჭდილებებს, მათ შექმნეს საპრეზენტაციო მასალა POVER POINTI (მაგ. „ლერმონტოვი და საქართველო“).

სწავლის სწავლა – პროექტი-გაკვეთილის განხორციელების პროცესში მოსწავლეთა ყურადღებას მივმართავდი სწავლის პროცესზე, მის მიმდინარეობაზე, ვეხმარებოდი მოსწავლეებს იმ ფაქტორებისა და პირობების გაცნობიერებაში, რომლებიც აფერხებს ან ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მსვლელობას. მოსწავლეებს ვაძლევდი მკაფიო და გასაგებ ინსტრუქციებს. შესაბამისად, მოსწავლეებს განუვითარდათ სტრატეგიების, დროის მიზანმიმართულად გამოყენების უნარი.

ამ გაკვეთილის მომზადებამ და მიმდინარეობამ ხელი შეუწყო **მრავალენობრივი კომპეტენციის** განვითარებას.

გაკვეთილი-პროექტი განხორციელდა მეთოდურ ლიტერატურაში არსებული ფაზების შესაბამისად. ეს ფაზებია პროექტ-გაკვეთილის თემისა და მიზნის განსაზღვრა, დაგეგმვა, მომზადება, წარდგენა, შეფასება. განხორციელებულმა პროექტ-გაკვეთილმა მოსწავლეებში, ესგ კომპეტენციების განვითარების საშუალებით, ხელი შეუწყო ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სტანდარტის მიღწევას და ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების ხორცშესხმას.

ტარიელ კალანდაძე
სსიპ ქალაქ ოზურგეთის №4 საჯარო სკოლის დირექტორი

პედაგოგთა დასახმარებლად

მარინე დემეტრაშვილი

სამოქალაქო განათლება

უფლებაუნარიანობა, ქმედუნარიანობა, ემანსიპაცია

გაკვეთილის მიზანია უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის წარმოშობის, არსებობის და შეწყვეტის სპეციფიკის შესწავლა. გააზრება იმის, თუ რა არის ემანსიპაცია.

სამოქალაქო სამართალი არის კერძო სამართალი, ჰორიზონტზე მდგარ პირებს შორის ურთიერთობა, ე.ი. მისი პრინციპი სწორედ პირთა თანასწორობაზე დამყარებული ურთიერთობებია.

სამოქალაქო სამართლის კოდექსი. მუხლი 11 (ზოგადი ნაწილი). ვკითხულობთ:

1. ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა – უნარი, ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, წარმოიშობა დაბადების მომენტიდან.

2. მემკვიდრედ ყოფნის უფლება წარმოიშობა ჩასახვისთანავე; ამ უფლების განხორციელება დამოკიდებულია დაბადებაზე.

3. ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა წყდება მისი გარდაცვალებით. გარდაცვალების მომენტად ითვლება თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტა. არ შეიძლება ფიზიკურ პირს წაერთვას უფლებაუნარიანობა.

უფლებაუნარიანობა – ეს არის უფლებების ქონის უფლება.

ქმედუნარიანობის მოპოვებას კი აქვს თავისი წინაპირობა და ეს არის ასაკი – 18 წლიდან.

შეჯამება: ფიზიკურ პირს უფლებაუნარიანობა ენიჭება დაბადებისთანავე, მემკვიდრეობა - ჩასახვისთანავე, ხოლო ქმედუნარიანობა – 18 წლიდან.

რაც შეეხება იურიდიულ პირს, უფლებაუნარიანობაც და ქმედუნარიანობაც წარმოიშობა რეგისტრაციისთანავე და უწყდება რეგისტრაციის დასრულების ეტაპზე, ანუ გაუქმების დროს.

სახელის უფლება არის პირადი უფლება და აქვს ფიზიკურ პირს, სახელწოდების – იურიდიულ პირს.

7 წლამდე ასაკის ბავშვი არის მცირეწლოვანი, ქმედუუნარო.

7-დან 18 წლამდე არასრულწლოვანს, შეზღუდული ქმედუნარიანობა აქვს, ხოლო 18 წლიდან ქმედუნარიანია.

არასრულწლოვნების კანონიერი წარმომადგენლები არიან დედა და მამა, ხოლო მათი არყოლის შემთხვევაში, ქმედუუნაროს სჭირდება **მეურვე** (ჯანდაცვის სამინისტროსთან შექმნილია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, რომელიც ნეიტრალური ორგანოა), შეზღუდულქმედუუნაროს კი – **მზრუნველი.**

ცოდნის გასამყარებლად მოსწავლეებს წარვუდგინოთ სლაიდები:

ემანსიპაცია ნიშნავს გათანაბრებას.

გათანაბრების 3 შემთხვევა გვაქვს:

1. ქორწინება 18 წლამდე (წინასწარი წერილობითი თანხმობით ქორწინებაში შესვლა);

2. თუ 16 წელს მიღწეულ პირს მისი მშობელი მისცემს ნებას, დამოუკიდებლად გაუძღვეს საწარმოს მართვას, მოხდება მშობლის მიერ ნდობის გამოცხადება მართვის მომენტში;

3. თავისუფალი განკარგვის მიზნით, მშობელი მისცემს ფულად სახსარს – „ჯიბის ფულს“.

„ჯიბის ფული“ სამართლებრივი ტერმინია და თავისუფალი განკარგვის მიზნით მიცემულ სახსარს აღნიშნავს. ამის შემდეგ არასრულწლოვანს შეუძლია დადოს ნასყიდობის ხელშეკრულება.

სავარჯიშო

წავიკითხოთ ქვემოთ მოცემული შემთხვევები და ვიმსჯელოთ იმ პირების უფლებაუნარიანობის და ქმედუნარიანობის შესახებ, რომელთა სახელებიც გამუქებულია ტექსტში.

1. 48 წლის **თეა,** რომელიც ავარიაში მოხვდა, უმძიმესი დაზიანებებით საავადმყოფოში მიიყვანეს. მიუხედავად ექიმების თავდაუზოგავი მცდელობისა, გამომდინარე იქიდან, რომ ტვინმა ფუნქციონირება შეწყვიტა, თეა აპარატზე შეაერთეს.

პასუხი: თეას აქვს მხოლოდ უფლებაუნარიანობა.

2. 20 წლის **ნინოს,** სამედიცინო დასკვნის საფუძველზე, ჭკუასუსტობა დაუდგინდა.

პასუხი: ამ შემთხვევაში ნინოს ორივე აქვს – ქმედუნარიანობაც და უფლებაუნარიანობაც (ჭკუასუსტობა, თუ სასამართლომ არ დაუდგინა, მაშინ ქმედუნარიანიცაა).

3. ნანა 4 თვის ორსულია. ექიმების თქმით, ის ბიჭს ელოდება, რომელსაც **ნიკას** არქმევს.

პასუხი: ნიკას აქვს უფლებაუნარიანობა.

4. ნოდარმა, მცირე ბიზნესის საწარმოებლად, ჩამოაყალიბა და კანონის ყველა მოთხოვნის დაცვით დაარეგისტრირა **ინდმეწარმე „ნოდარ ფირანიშვილი“.**

პასუხი: საწარმოს აქვს უფლებაუნარიანობაც და ქმედუნარიანობაც.

5. ცირას, რომელსაც რთული მშობიარობა ჰქონდა, სამწუხაროდ, **ბავშვი** გაჩენიდან ერთ საათში გარდაეცვალა.

პასუხი: არც ქმედუნარიანობა აქვს ბავშვს და არც უფლებაუნარიანობა (1 საათი იყო უფლებაუნარიანი).

6. **თორნიკე,** რომელიც 16 წლისაა, კანონის ყველა მოთხოვნის დაცვით, მუშაობას იწყებს კაფებარში „ფურშეტი“.

პასუხი: თორნიკეს აქვს უფლებაუნარიანობაც და ქმედუნარიანობაც.

7. **სააქციო საზოგადოება „პანტე“** გაკოტრდა.

პასუხი: უფლებაუნარიანობაც აქვს და ქმედუნარიანობაც.

8. **შპს „გიორგი“**, კანონით დადგენილი წესით, ლიკვიდირებულ იქნა.

პასუხი: უფლებაუნარიანობაც შეუწყდა და ქმედუნარიანობაც.

9. 80 წლის **ქეთევანი,** რომელიც მძიმე ავადმყოფია, ბოლო 10 წელია, ლოგინადაა ჩავარდნილი და შვილები უვლიან.

პასუხი: ქეთევანს უფლებაუნარიანობაც აქვს და ქმედუნარიანობაც.

ინფორმაცია

თსუ-ს კურსდამთავრებული Google-ის ლონდონის ოფისში დასაქმდა

თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტმა, 24 წლის **გიორგი მეგრელმა**, კომპანია Google-ში დაიწყო მუშაობა. ვიდრე კომპანიიდან დადებით პასუხს მიიღებდა, გიორგიმ შერჩევის დიდი და რთული გზა გაიარა. მანამდე კი, იყო ილია ვეკუას სახელობის 42-ე ფიზიკა-მათემატიკური სკოლა, სადაც, როგორც გიორგი აღნიშნავს, პედაგოგებმა შეაყვარეს ტექნიკური საგნები. შემდეგ იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.



გიორგი მეგრელი: *„ბაკალავრიატში სწავლის განმავლობაში გავიცანი და დავუმეგობრდი რამდენიმე პროფესორს, ვისწავლე ძალიან ბევრი ახალი რამ, სხვა რაკურსით დავინახე ის, რაც აქამდე ვიცოდი და ყველაზე მნიშვნელოვანი – აკადემიურ კულტურას გავეცანი. უნივერსიტეტმა ძალიან ბევრი რამ მომცა, მასწავლა, თუ როგორ მესწავლა და გამერჩია სიახლეები.“*

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების კიდევ ერთი წარმატება

IT ტექნოლოგიებით დაინტერესებული ადამიანების შეჯიბრში (ჰაკათონი) „სმარტ სითი“ საქართველოში სან დიეგოს უნივერსიტეტის მეორეკურსელებმა **ლუკა ლომთაძემ** და **ნიკა ალავიძემ** 24 საათში ააწყვეს მობილური საფულე – აპლიკაცია, რომელიც ებმევა მომხმარებლის ბანკის ანგარიშს და ავტომატურ რეჟიმში შესთავაზებს მას შეტყობინებებს – როდის რა აქვს გადასახდელი. მაგალითად, ავტობუსში ასვლისას, მოდის შეტყობინება და გვთავაზობს ბილეთის ყიდვას. საყიდლად კი, მხოლოდ ღილაკზე ხელის დაჭერაა საჭირო. ასევე ტაქსებში, კვებით ობიექტებში, პარკირების დროს, ბენზინგასამართ სადგურებზე და სადარბაზოს მრიცხველებთანაც კი, აპლიკაცია ხვდება რა და რამდენი გვაქვს გადასახდელი და უმარტივესი გზით, მხოლოდ დადასტურებით ვიხდით გადასახადს. SDSU საქართველოს სტუდენტებმა ორიგინალური იდეისთვის სპეციალური პრიზი მიიღეს.

ლუკა ლომთაძე: *„გადახდის პროცესი ყოველი ჩვენგანისთვის ყოველდღიური ოპერაციაა და ამიტომ გამიჩნდა იდეა, კიდევ უფრო დამეჩქარებინა ეს პროცესი. შედეგად შეიქმნა ვალარი – ინტელექტუალური მობილური საფულე, რომელიც ავტომატურად სთავაზობს მომხმარებელს როდის რისი გადახდაა საჭირო, ავტომატურად ავსებს ყველა საგადასახადო მონაცემს და მომხმარებლისგან მხოლოდ გადახდის დადასტურებას ელოდება. ვალარი მობილური აპლიკაციაა, რომლის საშუალებითაც ტელეფონი ასკანერებს დაბალ სიხშირეზე ახლომდებარე მოწყობილობებს და ინტერაქციის ალგორითმის საშუალებით ხვდება, შესთავაზოს თუ არა მომხმარებელს გადახდა. შედეგად, შესაძლებელი ხდება ავტობუსის ბილეთების უმარტივესად ყიდვა, მარკეტებში გადასახადების უფრო მარტივად გადახდა, რესტორანში ანგარიშის ავტომატური აღწერა-გადახდა, ყოველთვიურად კომუნალური გადასახადების ავტომატური აღწერა-გადახდა და უამრავი სასარგებლო რამ, რაც გაგვიმარტივებს ყოველდღიურ ცხოვრებას. აპლიკაცია 24 საათში ავაწყვე, პროტოტიპი მოიცავდა თვითონ ანდროიდ აპლიკაციას, ონლაინ მონაცემთა ბაზას და სიხშირეების ავტომატური დასკანერების უნარს, რაც უმარტივესი გადახდების გაკეთების საშუალებას იძლევა. მომავალი მთლიანად დაკავშირებულია საზოგადოებასთან, რომლის მხარდაჭერაც საჭიროა ვალარის ყოველდღიურ ცხოვრებაში გადატანის უფლების მოსაპოვებლად. სისტემას უკვე შეუძლია დაგვეხმაროს ყოველდღიურ სატრანზაქციო ოპერაციებში. ნიკამ, ძალიან მცირე დროში, ააწყო აპლიკაციის ლოგო და დიზაინი.“*

მშობელთა კრება

ასაკობრივი ცვლილებები მოზარდებში

5 ყველაზე მტკივნეული პრობლემა

გარდატეხის ასაკის ძირითადი სირთულე მშობლებთან და უფროსებთან კონფლიქტია. ფიზიკურად გაზრდილ და სქესობრივად მომწიფებულ მოზარდებს თავი უკვე დიდებად მიაჩნიათ და ცდილობენ, გახდნენ დამოუკიდებლები, რასაც მშობლების მხრიდან წინააღმდეგობა ხვდება. ხშირ შემთხვევაში, აქედან იწყება კონფლიქტები. ოჯახში იცვლება ურთიერთობები, მაგრამ ამის მიზეზი მხოლოდ შვილების პრობლემები არ არის. ხშირად შვილების გარდატეხის ასაკს მშობლების ე.წ. საშუალო ასაკის კრიზისი ემთხვევა, როცა ადამიანი იწყებს განვლილი ცხოვრების გადახედვას. ოჯახის ცხოვრების ამ ეტაპს მეცნიერები აფასებენ, როგორც მშობლებსა და შვილებს შორის ახალ ურთიერთობებზე გადასვლის პერიოდს. არის ოჯახები, სადაც ეს გადასვლა უკონფლიქტოდ ხდება, რადგან მშობლები არ უპირისპირდებიან მოზარდის დამოუკიდებლობის მოთხოვნილებას, აძლევენ მოზარდს საკუთარი აზრის გამოხატვის თავისუფლებას, მხარს უჭერენ, ეხმარებიან და ანუგეშებენ რთულ სიტუაციებში. ასეთ პირობებში გაზრდილი ადამიანი უფრო თავდაჯერებული და უკეთ მომზადებულია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის.

ერთ მშვენიერ დღეს მოსიყვარულე ვაჟიშვილი ან გოგონა უხეში და ნერვიული ხდება. არ ესმის არც რჩევა, არც შენიშვნა. ზოგიერთი შვილი ამ ასაკშიც ახარებს მშობლებს, მაგრამ ასეთი შემთხვევები მაინც იშვიათია.

გახსოვდეთ, თქვენი მოზარდი შვილი ჩამოყალიბების პროცესში მყოფი პიროვნებაა, რომელიც მოზრდილთა სამყაროში საკუთარ ადგილს ეძებს. ყოველი მოზარდი სხვადასხვანაირად ცდილობს ამას, რაც საკმაოდ რთული ამოცანაა. ზოგიერთს უფრო ადვილად უგებენ ოჯახში, ზოგიერთი კი თანამოაზრეებს სხვა სამყაროში ეძებს, სადაც ყოველთვის კარგი რჩევებით არ „უმასპინძლდებიან“. გახსოვდეთ, რომ მოზარდების ბევრ უცნაურ ახირებას ფსიქოლოგები „ნორმალურ საყმაწვილო სინდრომს“ უწოდებენ. რა პრობლემები აწუხებთ ყველაზე ხშირად მოზარდებს და რით გამოხატავენ გარდატეხის ასაკის ნიშნებს, ეს 5 ყველაზე მტკივნეულ პრობლემად შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ.

პროტესტი

გარდატეხის ასაკში მყოფი გოგო-ბიჭები საკუთარ თავში ახალ შესაძლებლობებს პოულობენ და საკმაოდ რაციონალურად აზროვნებაც შეუძლიათ. მათ ყველაფერზე საკუთარი შეხედულება აქვთ და დასაბუთებულადაც მსჯელობენ. ისინი ყველაფერს გააპროტესტებენ, რასაც თავს მოახვევთ. არ აღიარებენ საზოგადოებაში მიღებულ წესებს. ყველაფრით უკმაყოფილოები არიან – აკრიტიკებენ მშობლებს და მასწავლებლებს, თან მზად არიან, ბოლომდე გაიტანონ თავისი.

მშობლებმა ამ დროს მაქსიმალური სიმშვიდე უნდა შეინარჩუნონ და მშვიდად, რბილად მიუთითონ სწორი პოზიციისკენ. გახსოვდეთ, არც ისე ცუდია, თუ ამ ასაკში ბავშვი დამოუკიდებლობისა და თავდაჯერებულობისკენ მიისწრაფვის. მოვა დრო და ხასიათის ეს თვისებები უკეთეს გამოხატულებას იპოვის.

არაორგანიზებულობა და ხასიათის სწრაფი ცვლა

ერთ დროს დამჯერი, აკურატული და მოწესრიგებული ბიჭი ოთახში ნივთებს აღმადაღმა ისვრის, აგვიანებს და კატეგორიულ უარს აცხადებს კბილების გახეხვაზე ძილის წინ. ხასიათი ელვისებური სისწრაფით ეცვლება – ან უზომოდ ბედნიერია, ან ყველაზე უბედური.

გარდატეხის პერიოდისთვის ასეთი ქცევა დამახასიათებელია. მოზარდი მის ცხოვრებაში მომხდარ ყველა ცვლილებას ზედმეტად განიცდის: სიყვარულს, შეცდომებს, წარმატებასაც და იმედგაცრუებას.

დამუხრუჭებული ემოციები

მოზარდს მოზრდილის ფიზიკური და ინტელექტუალური შესაძლებლობები აქვს და მზადაა, ცხოვრებაზე საკუთარი წარმოდგენა რეალობად აქციოს. არადა, ყველაფერში ზღუდავენ, ვალდებულებებს ახსენებენ და წესების დაცვას აიძულებენ. შედეგად იმედგაცრუებას ვიღებთ, რამაც შეიძლება მოზარდის ქცევის ერთგვარი შეზღუდვა და ბლოკირება მოახდინოს. თუ დროულად არ ამოუდგებით მხარში თქვენს შვილს, შეიძლება პრობლემები სწავლაშიც შეექმნას და ურიერთობებშიც.

მფრთხალი და მორიდებული

ეს საკმაოდ გავრცელებული პრობლემაა მოზარდებში, რადგან ხშირად არიან უკმაყოფილოები საკუთარი გარეგნობით, სიმაღლით, წონით, ცხვირის ფორმითა თუ მკერდის გარშემოწერილობით. ერთი სიტყვით, ყველაფრით, რაც, მათი აზრით, იდეალურისგან შორსაა.

მოზარდისთვის სიმფრთხალე მტანჯველი პრობლემაა, ამას მორცხვობაც ერთვის, რაც დაბალი თვითშეფასებითაა გამოწვეული. ეს ყველაფერი მოზარდს გარშემომყოფებთან სრულფასოვან ურთიერთობაში ხელს უშლის.

სახლიდან გაქცევა

სახლიდან გაქცევის მიზეზი, ძირითადად, მშობლებთან დაძაბული ურთიერთობაა. მოზარდისთვის აუცილებელია, რომ, ყველაფრის მიუხედავად, აგრძნობინონ, როგორ უყვართ და აფასებენ. გაქცევის მეორე მიზეზი დამოუკიდებლობის დამტკიცების სურვილია. როცა დაბრუნდება, აუცილებლად უნდა მოგვარდეს უთანხმოების ყველა მიზეზი.

ალკოჰოლი და ნარკოტიკები

აკრძალული ხილი გარდატეხის ასაკში უფრო გემრიელია. ბევრი ალკოჰოლისა და მსუბუქი ნარკოტიკის გასინჯვას სწორედ გარდატეხის ასაკში იწყებს. ამას ზოგჯერ ნარკოდამოკიდებულებაც მოჰყვება. ამიტომ მშობლებს გაათმაგებული ყურადღება მართებთ.

ნარკოდამოკიდებულობის ნიშნები

- უეცარი მოდუნება სწრაფად იცვლება ეიფორიითა და ჰიპერაქტიურობით;
- განწყობის მუდმივი ცვალებადობა და უმადობა;
- მკვეთრად გაფართოებული ან შევიწროვებული გუგები;
- მეტყველების დარღვევა;
- კანკალი და ცხვირის გარშემო კანის გაღიზიანება.

სწორი ფრაზები ბავშვის სამართავად

„დაალაგე სათამაშოები!“, „დაიბანე ხელები!“, „ჩქარა წადი დასაძინებლად!“ – ამ მითითებების შესრულებას ბავშვები რატომღაც არასოდეს ჩქარობენ. ეს კი იმიტომ ხდება, რომ მათ არ უნდათ დროის დახარჯვა ასეთ უინტერესო საქმეებზე. ერთადერთი საშუალება, რომ ბავშვმა სწრაფად შეასრულოს დავალება, ის არის, რომ ეს ყველაფერი მისთვის საინტერესო გახადოთ. დაღლილი მშობლები იტყვიან: სამაგისოდ არა გვცალია, მაგის ძალა და ნერვები არა გვაქვს, არ ვიცით... რა თქმა უნდა, იცით! უბრალოდ, თამაშში უნდა ჩაერთოთ. ბავშვსაც ესიამოვნება და თქვენც გახალისდებით.

„მიდი ჩქარა, რამდენ ხანს შეიძლება ზოზინი?“ ნაცვლად, უთხარით: *„მოდი, შეევჯიბროთ. სტარტი, ყურადღება, გავიქეცით!“*

„ახლავე მივდივართ აბაზანაში! სამამდე ვითვლი!“ ნაცვლად, უთხარით: *„სტარტი, გემის გასვლამდე სულ ცოტა დარჩა. ათვლა დაიწყო: 10, 9, 8“.*

„ვიდრე სუპს არ გაათავებ, ტკბილეულს ვერ მიიღებ“ ნაცვლად, უთხარით: *„როგორც კი სუპი გაქრება თეფშიდან, მაგიდაზე დესერტი გაჩნდება!“.*

„სწრაფად დაიძინე!“ ნაცვლად, უთხარით: *„რა გინდა, რომ სიზმარში ნახო?“.*

„ნუ მიშლი ტელეფონზე საუბარს“ ნაცვლად, უთხარით: *„როდესაც საქმეს დავასრულებ, სიურპრიზი გელოდება“.*

„ახლავე მორჩი ჭირვეულობას!“ ნაცვლად, უთხარით: *„ვაიმე, ეტყობა ჭირვეულა ჩაგვისახლდა, მოდი სასწრაფოდ გავაგდოთ, თორემ ხასიათს გაგვიფუჭებს!“.*

„ჩემი რატომ არ გესმის? რამდენჯერ უნდა გაგიმეორო?“ ნაცვლად, უთხარით: *„კაკტუსო, კაკტუსო, მე ფიკუსი ვარ, ხაზის შემოწმება, მომახსენე, როგორ გესმის ჩემი! გადმოვცემ მნიშვნელოვან ინფორმაციას“.*

„არ შეიძლება ჭუჭყიანი ტანსაცმლით სიარული, სხვა რამეს ჩაგაცმევ, ეს უნდა გავრეცხო!“ ნაცვლად, უთხარით: *„შენი საყვარელი კაბა (შარვალი...) საბანაოდ წავიდა და თავისი და გამოგიგზავნა“.*

„ღმერთო, რა უწესრიგობაა! შენ ნამდვილი ფეთხუმი ხარ!“ ნაცვლად, უთხარით: *„ნეტა ჯადოქრად იქცე და ოთახი მოაწესრიგო“.*

„მოდი აქ, უნდა გცემო!“ ნაცვლად, უთხარით: *„როდესაც ბავშვი ცუდად იქცევა, დედა ბოროტ ჯადოქრად გადაიქცევა“.*

„როგორ დამღალე!“ ნაცვლად, უთხარით: *„ჩემი ქვაბი დუღდება, დუღდება და უკვე ადუღდა, სულ მალე აფეთქდება, თავს გაუფრთხილდი!*

„ახლავე დაიძინე!“ ნაცვლად, უთხარით: *„დაიძინე, და ვიდრე გეძინება, მოვა კეთილი ფერია და შენს საყვარელ კანფეტს (ან ნებისმიერი რამ, რაც უყვარს) მოგიტანს“* (ღამე ბალიშის ქვეშ ის დაუდეთ, რასაც შეპირდებით).

„შენმა ნახატმა კიდევ ვერ მიიღო საპრიზო ადგილი გამოფენაზე? ჰო, შენგან მხატვარი არ გამოვა“ ნაცვლად, უთხარით: *„ვერ დაიკავე და ნუ დაიკავე. სამაგიეროდ, (მაგ.) პეიზაჟები ყველაზე კარგად გამოგდის“.*

„აბა, გაკვეთილებს მიხედე!“ ნაცვლად, უთხარით: *„მოდი შენ გაკვეთილებს მიხედე, მე დავალაგებ, ვინც სწრაფად დაამთავრებს, მარწყვის ნაყინს მიიღებს. მეორე ადგილზე გასული უბრალოდ თეთრს (ვანილის)“.*

„ჩაიცვი, სასეირნოდ მივდივართ“ ნაცვლად, უთხარით: *„გინდა ეზოში ჩავიდეთ. ვნახოთ, ერთი, საინტერესო რა ხდება?“*

„სწრაფად გამორთე ტელევიზორი!“ ნაცვლად, უთხარით: *„ტელევიზორს დასვენების დრო მოუვიდა“.*

„მორჩი ტირილს!“ ნაცვლად, უთხარით: *„ვაიმე, მალე შენი ცრემლებით გუბე დადგება. არ ვიცი, დახრჩობისგან თავი როგორ გადავირჩინოთ?“*

„შენ რა, ხარბი ხარ?! აბა მიეცი კანფეტების ნაწილი ბავშვს!“ ნაცვლად, უთხარით: *„გემრიელია კანფეტი არა? მოდი, სხვებსაც გავუმასპინძლდეთ, რომ მათთვისაც გემრიელი იყოს“.*

„ნახე იმ ბავშვმა როგორ ლამაზად გააკეთა, შენ რატომ არ შეგიძლია ამის გაკეთება?“ ნაცვლად, უთხარით: *„ნახე მან რა კარგად გააკეთა. მე მგონი, შენ უკეთესად შეგიძლია ამის გაკეთება!“*

ფსიქოლოგის კომენტარი თემასთან დაკავშირებით

რაც უფრო მეტია თამაში, ჯადოსნობა და „საინტერესობები“ საუბარში, დარწმუნებაში და თქვენს ყოველდღიურ საქმიანობაში, მით უფრო გაგიადვილდებათ ბავშვთან მოლაპარაკება და მით უფრო ახლოს იქნებით მასთან. ზოგ ბავშვს ჯადოსნობა იზიდავს, ზოგს – შეჯიბრი, ზოგი კი, რომ დაამშვიდოთ, გულში უნდა ჩაიკრათ და მოეფეროთ. მაგრამ არის მომენტები, როდესაც მსგავსი ხრიკები საჭირო არ არის. მაგალითად, როდესაც მართლა გაბრაზებული ხართ და თამაშის და ხუმრობის განწყობა არ გაქვთ, არ არის საჭირო ძალდატანებითი სიცილი და „კბილებიდან გამოცრილი“ ხუმრობა. ბავშვი მაშინვე მიხვდება სიყალბეს და დაიბნევა. თუ გაბრაზებული ხართ, აუხსენით ბავშვს თქვენი მდგომარეობა. მაგ., „მე ძალიან განვიცდი, რომ ჭირვეულობ“. არავითარ შემთხვევაში არ უყვიროთ, უბრალოდ აუხსენით.

იტალიელი მეცნიერი, ექიმი-ანთროპოლოგი, პედაგოგი და ფსიქოლოგი, **მარია მონტესორი** იმდენად მნიშვნელოვანი ფიგურა იყო იტალიის ისტორიაში, რომ მონტესორის გამოსახულება ეროვნულ ვალუტაზეც დაიტანეს.

მარია მონტესორიმ მთელი ცხოვრება ბავშვთა აღზრდის სპეციალური მეთოდიკის შექმნას მიუძღვნა. მონტესორი, რომელსაც უამრავი დრო აქვს გატარებული ბავშვებთან მუშაობაში, თანდათან მივიდა დასკვნამდე, რომ ბავშვი თავად არის საკუთარი პიროვნების შემოქმედი. მასში იმთავითვე არის ჩადებული თვითგანვითარებისადმი მისწრაფება და საამისო ენერგია.

და, მიუხედავად იმისა, რომ ყველა მშობელს თავისი შეხედულება აქვს საკუთარი პირმშოს აღზრდაზე და ამიტომ მათ მაინც და მაინც არ უყვართ სხვათა რჩევების მოსმენა, თავს უფლებას მივცემთ, მარია მონტესორის მრავალწლიანი სამეცნიერო მუშაობის შედეგი – 19 მცნება გავაცნოთ:

1. ბავშვები სწავლობენ ყველაფრისგან, რაც გარს აკრავთ.

2. თუ ბავშვს ხშირად აკრიტიკებენ, ის სხვების დადანაშაულებას, მათთვის გადაბრალებას ეჩვევა.

3. თუ ბავშვს ხშირად აქებენ, შეფასებას სწავლობს.

4. თუ ბავშვს მტრულად ექცევიან, ის ხელჩართულ ჩხუბს სწავლობს.

5. თუ ბავშვს არ ატყუებენ და მასთან გულწრფელები არიან, სამართლიანობას სწავლობს.

6. თუ ბავშვს ხშირად დასცინიან, მშიშარა, მორცხვი და მორიდებული ხდება.

7. თუ ბავშვი თავს უსაფრთხოდ გრძნობს, ნდობას სწავლობს.

8. თუ ბავშვს ხშირად არცხვენენ, გამუდმებით დამნაშავედ იგრძნობს თავს.

9. თუ ბავშვს ხშირად უწონებენ საქციელს, საკუთარი თავის პატივისცემას სწავლობს.

10. თუ ბავშვის მიმართ ხშირად იჩენენ მიმტევებლობასა და გულმოწყალებას, ის მოთმინებას სწავლობს.

11. თუ ბავშვს ხშირად ამხნევებენ, თავდაჯერებული ხდება.

12. თუ ბავშვი მეგობრულ ატმოსფეროში ცხოვრობს და თავს საჭიროდ გრძნობს, სიყვარულის პოვნას სწავლობს.

13. არასდროს თქვათ ბავშვზე ცუდი, არც მისი თანდასწრებით და არც მის გარეშე.

14. ყურადღება გაამახვილეთ ბავშვში კარგი თვისებების განვითარებაზე და ცუდისთვის ადგილი აღარ დარჩება.

15. ყოველთვის მოუსმინეთ და უპასუხეთ ბავშვს, როდესაც ის მოგმართავთ.

16. პატივი ეცით ბავშვს, რომელმაც შეცდომა დაუშვა და ცდილობს მის გამოსწორებას დღესვე ან ცოტა მოგვიანებით.

17. ყოველთვის დაეხმარეთ ბავშვს, რომელიც ძიებაშია და დარჩით შეუმჩნეველი იმ ბავშვისთვის, რომელმაც უკვე იპოვა ის, რასაც თავისთვის ეძებდა.

18. დაეხმარეთ ბავშვს იმის ათვისებაში, რაც აქამდე არ აუთვისებია და ეს მზრუნველობით, თავშეკავებით, ჩუმად და სიყვარულით გააკეთეთ.

19. ბავშვთან ურთიერთობაში ყოველთვის მიაქციეთ ყურადღება კარგ მანერებს და დაანახეთ ყველაფერი საუკეთესო, რაც თქვენშია.

სპორტი

თავისუფალი გაკვეთილები – მეტი შესაძლებლობა ფიზკულტურის მასწავლებლებისთვის

ირაკლი თავაძე

ქვეყნის პრემიერის შემდეგ, სკოლებში სპორტის გაკვეთილებისთვის განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამაც მოიცალა. მისი ინიციატივით, დაშვებული თავისუფალი გაკვეთილების უმეტესი ნაწილი სწორედ სპორტის გაკვეთილებს ეთმობა, რომელსაც სამინისტრო, ოთხ ფედერაციასთან ერთად, განახორციელებს.

პრობლემა რომ აქტუალურია და სკოლებში სპორტის, ფიზკულტურის გაკვეთილები ბევრს არაფერს ცვლის, ამაში განათლების მინისტრის ქვემომოყვანილი კომენტარიც დაგარწმუნებთ, თუმცა განა მარტო სკოლებში, ზოგადად, მოზარდ თაობაში ფიზიკური აქტივობა ძალიან დაბალია.

„ყველა კვლევის მიხედვით, ბავშვების მხოლოდ 2-7%-ია ჩართული რეგულარულ ფიზიკურ აქტივობაში, ეს ტრაგედიაა – ბავშვების 93-98% არანაირ რეგულარულ ფიზიკურ აქტივობაში ჩართული არ არის. ვარაუდობენ, რომ რეგიონებში ბავშვი ისედაც აქტიურია ქალაქელ ბავშვთან შედარებით. თბილისის სკოლებში სპორტულ წრეებზე მეტი ბავშვი დადის, რადგან აქ მეტი ფინანსური საშუალებაა ამისთვის. მთავარი პრობლემაა ის, რომ ბავშვები მიჩვეულები არ არიან სპორტულ თამაშებს. ფიზიკური აქტივობების ნაკლებობის ძირითადი საბაბი სათანადო ინფრასტრუქტურის არარსებობაა. სკოლებში ამბობენ, რომ არ აქვთ დარბაზი, რაც ძალიან ცუდია, მაგრამ არსებობს ბევრი აქტივობა, რომლის დანერგვა დარბაზის გარეშეც შეიძლება.“

მნიშვნელოვანია, როგორია ფიზკულტურის გაკვეთილებისთვის განკუთვნილი საათების შესრულების ასპექტი სკოლებში და ძირითადად, რა ხელისშემშლელი პირობები არსებობს მასწავლებლებისთვის. მინისტრი ამბობს, რომ მისთვის მთავარი სპორტულ აქტივობაში ბავშვების დაბალი ჩართულობაა და არა საათების შესრულების ასპექტი. მიზეზი კი სხვადასხვაგვარია, მათ შორის, ერთ-ერთი მთავარი სკოლებში სპორტული დარბაზების არარსებობაა. თუმცა, არის შემთხვევები, როგორც მინისტრი ამბობს, როცა დარბაზის ნაცვლად, სპორტის გაკვეთილები საკლასო ოთახებში ტარდება, ეს საუკეთესო გამოსავალი არ არის, მაგრამ, სამწუხაროდ, არსებული რეალობაა. *„ჩვენი მიზანია, რომ ყველა სკოლას აუცილებლად ჰქონდეს სპორტული დარბაზი. საინტერესო სტატისტიკაა – დავთვალეთ და გვჭირდება 830 მილიონი ლარი იმისთვის, რომ ვისაც გასარემონტებელი აქვს სპორტული დარბაზი, გავურემონტოთ და ვისაც არ აქვს, ავუშენოთ – დაახლოებით 300 ათასი სარემონტოდაა საჭირო, ხოლო 530 მილიონი – ასაშენებლად. დირექტორებს ვაფრთხილებთ, რომ გავითვალისწინებთ არა იმას, ტარდება თუ არა სპორტის გაკვეთილი, არამედ რამდენადაა ჩართული ყველა ბავშვი აქტივობაში. თუ კალათბურთს ითამაშებს, მაგალითად, ხუთი და არა ოცივე ბავშვი, ეს არ ითვლება კარგად ჩატარებულ გაკვეთილად. ზოგ სკოლაში შედარებით უკეთესი მდგომარეობაა – ზუსტად იმავე ინფრასტრუქტურით გაცილებით მეტს ახერხებენ, ვიდრე სხვა სკოლები.“*

აღმოჩნდა, რომ სპორტის მასწავლებლებისთვის მასწავლებელთა კარიერული წინსვლის სქემაში ტრენინგები გათვალისწინებული არ არის, სწორედ ამის გამო, სამინისტრო ფიზკულტურის ყველა მასწავლებელს (მთლიანობაში 60 ათასი პედაგოგია, აქედან მხოლოდ რამდენიმე ათასია ფიზკულტურის მასწავლებელი), რამდენიმე წელიწადში, სპორტული ფედერაციების დახმარებით, გადაამზადებს. *„შეთანხმებული ვართ ოთხ ფედერაციასთან – ფეხბურთის, ფრენბურთის, ხელბურთისა და რაგბის. ახლა ოთხი ძირითადი პარტნიორი გვყავს, თუმცა, ეს არანირად არ გამორიცხავს სხვა ფედერაციების ჩართვას. ძირითად აქცენტს, არჩევისას, არაძვირადღირებულ სპორტულ სახეობებზე ვაკეთებთ, ვერ ვირჩევთ ისეთ სახეობებს, რასაც ძვირადღირებული ინფრასტრუქტურა სჭირდება ან არ არის მასობრივი. მაგალითად, ჩოგბურთი არაჩვეულებრივი სპორტია, თუმცა, სკოლაში, სადაც 700 მოსწავლეა, როგორ უნდა ჩავრთოთ შვიდასივე, ჩვენ გვჭირდება გუნდური თამაშები, თანაც ისეთები, რომლებსაც აქვს განშტოება თამაშები.*

ეს ოთხი ფედერაცია მოამზადებს მასწავლებლებს, მინიმალური საჭიროებებით აღიჭურვება სკოლები, ჩვენი თანადაფინანსებით – ტრენინგებს ფედერაცია დააფინანსებს, ინვენტარს ერთად დავაფინანსებთ. ფედერაციები უზრუნველყოფენ, რომ ბურთი ღირდეს ძალიან იაფი, ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ ეს იაფიანი ბურთი ვიყიდოთ. ვფიქრობ, მასწავლებლების გადამზადების პროცესი ერთ თვეში დაიწყება, რა თქმა უნდა, გამტარუნარიანობის მხრივ შეზღუდვა იქნება, მარტში ყველა ვერ გადამზადდება, ერთი წლის განმავლობაში მომზადებულთა რაოდენობა გაიზრდება. სკოლა მიიღებს გადაწყვეტილებას – ფრენბურთს თამაშობს, რაგბის, ფეხბურთს თუ ხელბურთს და ფედერაციები ამის მიხედვით გადაამზადებენ მასწავლებლებს.“

მართალია, პრიორიტეტი, ფიზკულტურის მასწავლებლების გადამზადებაა და ამ პროცესში მაქსიმალურად ჩაერთვება ყველა, ვინც გადამზადებას ექვემდებარება – ასაკიც უწყობს ხელს და ფიზიკური აქტივობაც. თუმცა, მთელი ეს ინიციატივა მანდატურის სამსახურს ბარდება და ის იქნება სპორტული აქტივობის კოორდინატორი. აქედან გამომდინარე, მანდატურების გადამზადებაც იგეგმება. *„მანდატურები გვინდა ჩავრთოთ მსაჯის, ხელშემწყობის თუ წამხალისებლის დონეზე. სწავლების უფლებას რაც შეეხება, პირველი პრიორიტეტი, რა თქმა უნდა, სკოლის პედაგოგს ექნება“* – განაცხადა მინისტრმა.

ფიზკულტურის მასწავლებლებისთვის განსაკუთრებით მიმზიდველად თავისუფალი გაკვეთილის მოდელი გამოიყურება, რომელიც, დანარჩენი მიმართულებისგან განსხვავებით (რომლებსაც კვირაში ერთი საათი ეთმობა), სპორტის მიმართულებას 2 საათი დაეთმობა.

„თავისუფალი გაკვეთილებისთვის განკუთვნილი კვირაში ორი საათი ფიზკულტურის უკვე არსებულ საათებს დაემატება. წელს აქცენტს ვაკეთებთ მეშვიდე-მერვე კლასებზე. იმედი მაქვს, მომავალ წელს, ორჯერ მეტი ფული გვექნება ამ საქმისთვის და, შესაბამისად, კიდევ ორ კლასს დავამატებთ. თავისუფალი გაკვეთილების აქტივობა სქემაში კრედიტქულებით შეფასდება.“

თავისუფალი გაკვეთილები მასწავლებლებისა და სკოლების მოტივაციას, ფინანსური ინტერესების ხარჯზე, უფრო მეტად ზრდის, რადგან ერთი საათი თავისუფალი გაკვეთილის, მათ შორის სპორტის, გულისხმობს 8 ლარს – ადმინისტრაციაში მიმავალს, 8 ლარს – პედაგოგთან და 8 ლარს – ინვენტარში, ანუ თუ სკოლა 40 საათს ატარებს, შესაბამისად, 320 ლარი ინვენტარისთვის ექნება, 320 ლარი – მასწავლებლისთვის და 320 – ადმინისტრაციისთვის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ორი საათი ჯანსაღი ცხოვრების წესს ეთმობა, მაგრამ სულაც არ არის აუცილებელი ეს მხოლოდ სპორტი იყოს, შეიძლება გაკვეთილი ჯანსაღ კვებას, გასეირნებას ან სხვა მსგავს აქტივობას მიეძღვნას.

როგორ ჩაერთვებიან ფედერაციები მინისტრის მიერ ინიცირებულ სიახლეში და რა დოზით განისაზღვება მათი მონაწილეობა, ამის შესახებ კომენტარი ვთხოვეთ კონტრაქტორი სპორტული ფედერაციებიდან რამდენიმეს.

ზურაბ კაკაბაძე, ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტი: *„ეს ძალიან საინტერესო თემაა. პროექტი დიდი ხანია, გვაქვს, რომლის განხორციელებაშიც აქამდე აქტიურად გვეხმარებოდა საერთაშორისო ფედერაცია, რომელსაც, ამ კუთხით, გარკვეული გამოცდილება და ლიტერატურა აქვს. მათი დახმარებით ორჯერ შევძელით სკოლის მასწავლებელთათვის სემინარების ჩატარება ქვეყნის მასშტაბით. ამას დიდი ფინანსები სჭირდება და მერე ვერ შევძელით მისი გაგრძელება, მაგრამ მასწავლებლებმა მიიღეს საჭირო ცოდნა-განათლება. თუმცა მიზნად არ იყო დასახული მხოლოდ ხელბურთის სპეციალისტთა მომზადება, საუბარი იყო მოძრავ, მცირე თამაშებზე ბურთით, რომელიც მოიცავდა ფეხბურთის თუ სხვა სახეობების ელემენტებს, გათვლილი იყო ზოგადად სპორტულ აქტივობებზე, რაც მერე, შეიძლება, გამოყენებული იყოს სპორტის დანარჩენ სახეობებზე. მაგალითად, მიზანში ზუსტი ტყორცნა, სისწრაფე, დრიბლინგი, გუნდური თამაში.*

თუმცა, ინვენტარის და ინფრასტრუქტურის მხრივ, ძალიან რთული ვითარებაა. მით უფრო – ხელბურთი დარბაზის სპორტია და საგანგებო ინფრასტრუქტურა სჭირდება. ამ პროექტის ფარგლებში, სამინისტრო ფინანსურ დამხარებას კი გვპირდება, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი უპირატესობას იაფ, დაბალხარისხიან და ერთჯერად ბურთებს ანიჭებენ. შეიძლება, ასეთმა ბურთმა ხელბურთის თამაშის სურვილიც კი დაუკარგოს, ხარისხიანმა კი – პირიქით, გაუღვივოს. ინვენტარს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს და მე ვურჩევ, აქცენტი ხარისხზე გააკეთონ. აგრეთვე – მეტი ყურადღება დაუთმონ ინფრასტრუქტურას, რადგან აუცილებელია, სკოლას ჰქონდეს ინვენტარი და ინფრასტრუქტურა. აგრეთვე – ხელშეწყობა და მასწავლებელთა კვალიფიკაცია. ბევრგან სხვა საგნებს აქვთ მიერთებული ფიზკულტურის საათი. შეიძლება, პიროვნულად კი იყოს მოწადინებული, მაგრამ თვითონ სისტემაა წესრიგში მოსაყვანი.

ჩვენ მზად ვართ, ჩავერთოთ მასწავლებელთა გადამზადების პროცესში, რადგან, როგორც უკვე გითხარით, დამოუკიდებლად ამას ისედაც ვაკეთებდით. ძალიან კარგია, ამ კუთხით, სამინისტროც რომ ჩაერთო მუშაობაში. ჩვენ გვაქვს ლიტერატურაც, სახელმძღვანელოებიც, გვყავს სპეციალისტებიც და მზად ვართ, აქტიურად ჩავერთოთ ამ პროცესში, იქნება ეს მეთოდიკა, სპეციალისტთა დახმარებით სემინარების ჩატარება, შეჯიბრების საორგანიზაციო ნაწილი თუ სხვა. ძალიან კარგია, სამინისტრო რომ დაინტერესდა, თუმცა ჯერ მხოლოდ სიტყვიერი შეთანხმებაა. მაგრამ ვიცით, რომ მომზადების, დახვეწის პროცესი მიდის და უახლოეს მომავალში საბოლოოდ გადაწყდება. როგორც ვიცი, სამინისტროს სურვილია, მანდატურებიც ჩაერთონ. სპორტულ აქტივობებში მათი ჩართვა მართლაც კარგი იქნება“.

ირაკლი ჩაჩუა, ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტი: *„უკვე ჩავატარეთ, დაახლოებით, 50 სკოლის მასწავლებლისთვის სემინარი საერთაშორისო სპეციალისტის – ათანასიოს პაპადოულისის ხელმძღვანელობით. ამ პროექტისთვის უნდა მოვამზადოთ სპეციალური ვარჯიშების წიგნი. ჯერჯერობით განათლების სამინისტრომ მოგვთხოვა 28 გაკვეთილის ჩატარების გეგმა, რაც უკვე მივაწოდეთ, თუმცა ეს პროექტი ჯერ კიდევ დამუშავების პროცესშია. 15 თებერვალს უნდა გაიმართოს შეხვედრა ამ ოთხ ფედერაციას, განათლებისა და სპორტის სამინისტროებს შორის, სადაც, სავარაუდოდ, ბევრი რამ დაზუსტდება.*

სკოლების დარბაზები, ძირითადად, შეესაბამება სტანდარტებს და იქ შეიძლება წვრთნების ჩატარება. სკოლებს ბადის და ბურთების შეძენის საშუალება აქვთ, თუმცა ჩვენც ვეხმარებით. მაგალითად, თუ სადმე წარმატებული მწვრთნელია, მას ვაჯილდოებთ პროფესიული ინვენტარით“.

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური სრულად იზიარებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინიციატივას, რომელიც სკოლებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას ითვალისწინებს და, საჯარო სკოლებთან ერთად, სპორტული ღონისძიებების ორგანიზებას იწყებს. პირველი ასეთი ღონისძიება თბილისის №55 საჯარო სკოლის სპორტის პედაგოგებთან ერთად განახორციელეს – კალათბურთში შიდა სასკოლო შეჯიბრი ჩაატარეს, რომელშიც IX, X და XI კლასების მოსწავლეები მონაწილეობდნენ.

ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისა და ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში, მანდატურის სამსახური სკოლებში სპორტული ღონისძიებების ორგანიზებას ეტაპობრივად განახორციელებს.

ინფორმაცია

5 წელი სომეხ თანამოქალაქეებთან – მილწევები და სამომავლო გეგმები

სოფელი საძელი, რომლის შესახებაც მინდა გიამბოთ, ახალციხის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაშია და მისგან 5 კილომეტრის დაშორებით, ზღვის დონიდან 1220 მეტრზე მდებარეობს. სოფელი 1829 წელს, ერზრუმიდან ჩამოსულმა 8 ოჯახმა შექმნა, მალევე აშენდა სუფ სარქისის სახელობის ეკლესია, რომელსაც უკავშირდება სწავლა-განათლების დასაწყისი სოფელში. 1897 წელს, ეკლესიასთან ახლოს, დაწყებითი კლასებიც გაიხსნა.

2012 წლის მონაცემებით სოფელში 607 ადამიანი ცხოვრობდა, 2014 წელს კი ეს რიცხვი 381-მდე შემცირდა. სოფელში, 1947 წლიდან, 8-კლასიანი სკოლა ფუნქციონირებდა, ახლა სკოლა ზოგადსაგანმანათლებლოა და 50 მოსწავლე სწავლობს. დირექტორი, ამავე სოფლის მკვიდრი **ხორენ ოგანესიანია**, რომელიც ყოველმხრივ ცდილობს, შეძლებისდაგვარად, გააუმჯობესოს ვითარება. სწორედ სკოლის დანაზოგით მოხერხდა ახალი საპირფარეშოს აშენება. პრობლემად რჩება კლასკაბინეტების, ლაბორატორიის, სააქტო დარბაზისა და სპორტდარბაზის უქონლობა. ამ უკანასკნელის დროულად აშენება განსაკუთრებით საშურია, რადგან ზამთარი აქ 6 თვე გრძელდება და მოსწავლეები მოკლებულნი არიან აქტიურ სპორტულ ცხოვრებას.

მე ამ სკოლაში 2011 წლიდან ვმუშაობ პროექტით „ქართული ენა მომავალი წარმატებისათვის“, ახლა ვარ ქართულის, როგორც მეორე ენის ძირითადი მასწავლებელი. ასევე ჩართული ვარ დისტანციურ სწავლებაში. სკოლამ, ბავშვებმა და მოსახლეობამ ძალიან კარგად მიმიღეს. რა თქმა უნდა თავიდან გამიჭირდა, მაგრამ ბავშვების თბილმა დამოკიდებულებამ გადამალახინა ეს პერიოდი, ეროვნული სხვადასხვაობა არასოდეს ყოფილა ჩვენი ურთიერთობის დამაბრკოლებელი.

დიდი გამოცდილება შემძინა განვლილმა 5-მა წელმა. ვეხმარებოდი ძირითად მასწავლებლებს სხვადასხვა ღონისძიებების მოწყობაში, აქტივობების დაგეგმვაში, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ამ პროექტით მონაწილე მასწავლებლები ვცდილობდით ერთად მოგვეწყო მნიშვნელოვანი ღონისძიებები, რაც ყოველთვის კარგად გამოგვდიოდა. ასეა ახლაც. ყოველ წელს აღვნიშნავთ „ქართული ენის“ დღეს, ასევე ყოველწლიურად ვსტუმრობთ ნინოწმინდის ბავშვთა სახლს და მიგვაქვს საჩუქრები, ვაწყობთ ღონისძიებას.

ჩვენს სკოლაში 23 პედაგოგია დასაქმებული, აქედან 2 უფროსი მასწავლებელია. ისინი მაქსიმუმს აკთებენ მოსწავლეებისთვის, რაც შედეგებზეც აისახება – 2012 წელს, საძელის კოლა, საქართველოს მასშტაბით, 10 საუკეთესო სკოლაში შევიდა ოქროს მედალოსანთა რაოდენობით, ყველა კურსდამთავრებულმა სხვადასხვა უნივერსიტეტებში უფასო ფაკულტეტებზე ჩააბარა. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ სომეხი ბავშვები ტოლს არ უდებენ ქართული სკოლების მოსწავლეებს. ისინი აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა კონფერენციებსა და კონკურსებში. რამდენიმე მაგალითს მოვიყვან:

2016 წელს ახალციხის მუნიციპალიტეტის ყველა სკოლამ მიიღო მონაწილეობა სატელევიზიო პროექტში „ეტალონი“ . საძელის სკოლის მოსწავლეებმა სერიოზული კონკურენცია გაუწიეს ქართველ ბავშვებს და ქულებით მესამე ადგილი დაიკავეს **შუშანიკ კარაპეტიანმა** და **ნაირა თოროსიანმა**; შარშანვე ახალციხის მუნიციპალიტეტის კულტურის განყოფილების მიერ მოეწყო შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი ღონისძიება, სადაც 2-მა მოსწავლემ, **ამალია ნახაპეტიანმა** და **ალინა ოგანესიანმა,** მოამზადეს თავისუფალი თემები „ვეფხისტყაოსანზე“. ისინი „ვეფხისტყაოსნით“ დაჯილდოვდნენ, ასევე, 2015-2016 წლებში, 2-ჯერ მივიღეთ მონაწილეობა ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ Civitas Georgia პროექტში „გზა პარლამენტისაკენ, სასკოლო დებატები“. ჩვენი სკოლიდან 10 მოსწავლე მონაწილეობდა, გადავედით ფინალში, რომელიც განათლების სამინისტროში გაიმართა. ძალიან ბევრი იშრომეს მოსწავლეებმა, ფინალისთვის 10 თემა მოამზადეს, მაგრამ, სამწუხაროდ, დავმარცხდით, თუმცა მოსწავლეებმა მნიშვნელოვანი გამოცდილება მიიღეს და დასასვენებელი საგზურებითაც დაჯილდოვდნენ;

2016 წელს მე-8 კლასის მოსწავლემ, ალინა ოგანესიამა მონაწილეობა მიიღო თავისუფალი ესეების კონკურსში „ივანე ჯავახიშვილი – უნივერსიტეტის დამაარსებელი“. მისი ნაშრომი მაღალი ქულით შეფასდა, რისთვისაც მასთან ერთად, მეც სერტიფიკატი გადმომეცა. ამის შემდეგ დაიწყო ჩვენი თანამშრომლობა თსუ-სთან. „საბავშვო უნივერსიტეტის“ განყოფილების უფროსი, მეცნიერებათა დოქტორი **მარინა ლომოური** ახალციხეში გვესტუმრა და 10 სომხური სკოლის უფროსკლასელებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ ესაუბრა, პროფესიული ორიენტაციის კუთხითაც საინტერესო ინფორმაცია მიაწოდა. შეხვედრის ბოლოს ქალბატონმა მარინამ უნივერსიტეტში მიგვიწვია. მადლიერებით მინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი თბილისში გამგზავრება ახალციხის კულტურის განყოფილებამ დააფინანსა. ძალიან საინტერესო იყო მოსწავლეებისთვის ჯავახიშვილის უნივერსიტეტის დათვალიერება, იქვე არსებული მუზეუმების გაცნობა. დარწმუნებული ვარ, ეს მათ პროფესიის არჩევაში დაეხმარებათ. რაც მთავარია, ასეთი პროექტების განხორციელება ნამდვილად უწყობს ხელს სომეხ მოსწავლეებს ქართველ საზოგადოებასთან ინტეგრაციაში, განვითარებასა და წინსვლაში. ამ მიმართებით მომავალშიც ბევრი იდეა და გეგმა მაქვს, რომელთაც, ჩემს მოსწავლეებთან ერთად, აუცილებლად განვახორციელებთ. მაგრამ არის პრობლემები (ამის შესახებ უკვე აღვნიშნეთ), რომელთა მოგვარებაში სახელმწიფოს თანადგომა დაგვჭირდება, რომ საძელის სკოლა თანამედროვედ აღიჭურვოს, ამას ჩვენი მოსწავლეები ნამდვილად იმსახურებენ.

თინათინ გოგიაშვილი
საძელის საჯარო სკოლის
ქართული ენის მასწავლებელი

მასწავლებლის სამუშაო რვეული



მასწავლებლის სამუშაო რვეული პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:
1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

4 ლარი

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

წიგნში თავმოყრილია დაწყებითი კლასებისთვის აქტუალური სწავლების მეთოდების გამოყენებით შექმნილი გაკვეთილის სცენარები ქართულში, მათემატიკაში და ბუნებაში. სახელმძღვანელო დაეხმარება მასწავლებელს მოსწავლეებს განუვითაროს: წიგნიერების, მედიაწიგნიერების, მათემატიკური წიგნიერებისა და კვლევითი უნარები, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება.

6.50 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო

კათედრის გამგის პორტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი წლის განმავლობაში შეუძლია **დაგეგმოს და ჩაინიშნოს** მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირეულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, **პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას**. **კალენდარს ახლავს** შესავსები გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეესტრი და თავისუფალი ფურცლები, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

სიახლე

5.50 ლარი

ცნობარი დაწყებითი კლასების პედაგოგებისათვის

ცნობარი დაწყებითი კლასების პედაგოგებისთვის მომზადდა დაწყებითი კლასების მასწავლებლების საჭიროების გათვალისწინებით. მოიცავს: საგნობრივ, თეორიულ მასალას; ცოდნის შესამოწმებელ ტესტებს, რაც საგნობრივი გამოცდისთვის მომზადებაში დაეხმარებათ.

14 ლარი

წიგნი I
ძველი ქართული მწერლობა

წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“

წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა

წიგნი IV
XX საუკუნის მწერლობა

თითო ტომის ფასი – 13 ლარი

მოვემზადოთ საატესტატო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გადასაფხეკი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე

fb.com/bakursulakauripublishing

ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩააბაროთ როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.

თითო კრებულის ფასი – 10.90 ლ

ქართული ენის კრებულები

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.

სერიის ფასი – 17.70ლ

ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია „ნამდვილი და მოგონილი ამბები“ შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით.

სერიის ფასი – 32.40ლ

12 ლარი
თამაზ ვასაძე
ქართული ენის კომენტირებული ტექსტი და განმარტებული ლექსიკონი (ორტომეული)



10 ლარი
ფიზიკა
საატესტატო გამოცდებისთვის
ალ. ტატიშვილი, ზ. ბერაია

7 ლარი
ქართული ენის გრამატიკა
სინტაქსი
სასკოლო კურსი
ნ. შარაშენიძე

8 ლარი
ქართული ენის გრამატიკა
მორფოლოგია
სასკოლო კურსი
ნ. შარაშენიძე

10 ლარი
თამაზ ბერიტაშვილი
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)

4 ლარი
თამაზ ვასაძე
ქართული ავიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის

ბიოლოგია
ერეკვნული გამოცდებისთვის
ლ. ბურდილაძე, ნ. სიხარულიძე, ქ. მაღრაძე, ლ. ნაზირიშვილი
I ნაწილი – 10 ლარი
II ნაწილი – 10 ლარი



9 ლარი
ისტორია
საატესტატო გამოცდებისთვის
ნ. ახვლედელი, ბ. ლორთქიფანიძე, ნ. მურღულია

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
ფიზიკურმა პირებმა, თანხის გადმორიცხვისას, მიუთითეთ პირადი ნომერი. შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით: 599880073, 0322958023

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი
მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com
რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.
ISSN 2233-386X
9 772233 386008 >